

ფელიწადი პირველი.

№ 9.

ფასი 20 კაპ.

# განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სა-  
ლიტერატურა და საპოლიტიკო  
უფურნალი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ნიკო ლომოური.
2. ქალი და ბუნება—ლექსი, ი. გრიშა-  
შვილისა.
3. სიცოცხლე, დ. თურდოსპირელისა.
4. სააღდგომო კაბა, მოთხრობა, კირილე  
წუთისოფელელისა.
5. ბაბო, მოთხრობა, გ. გბრაღიძისა.
6. ახლანდელი სრულიათ ევროპის ომი  
და ეროვნული საკითხი, იაკ. ფან-  
ცხავასი.
7. კრიტიკა, თ. თ. აკაკი წერეთელი და  
ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძისა.
8. ქართული პრესა.
9. ახლო აღმოსავლეთი, გულკეთილისა.
10. მწიბი, დასასრული, დ. საქარელისა.

1 მაისი 1915 წ.

## მ შ თ ა ი ს ი

სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

მიიღება 1915 წ. ჰირველ იანგრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო და სა-  
ლიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

# „გ ა ნ თ ი ა ლ“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანე-  
ლობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ.,  
სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხე-  
ლის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., ჰირველ აპრილს—1 მან. და ჰირველ ივ-  
ნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიღორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილ-  
თან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან,  
ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრე  
ლიძესთან, ხონში გიგლა მებუკესთან, ბათუმში სოსიკო მდივანთან, სოხუმში  
ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридо-  
новичу Панцхава.

ამიერიდან ა. ჟუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

# „საქოჯლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე  
ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

ვთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია  
„საქოჯლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოციელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამო-  
კიდებულია თანამგრძობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი  
პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვი-  
გზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი და  
ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ა. თ. ცინცაძე.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ყურნალი.

## † ნიკო ლომოური (1852—1915 წ.)

სამწუხარო ამბავი გავრცელდა გორიდან. იქ 17 აპრილს, საღამოს ექვს საათზე, გადაიცვალა ჩვენი ნიჭიერი მწერალი — ნიკო ლომოური.

ნიკო ლომოური დაიბადა 1852 წელს, თებერვლის 13-ს, სოფელ არბოში. არბო მდებარეობს შუა ქართლში, კავკასიონის მთის ძირას და იმალება ბაღებსა და ვენახებში. ნიკოს ბავშვობისას ამ სოფელში ოციოდე კომლი გლეხი თუ იქნებოდა. აი, ამ პატარა სოფელმა და მისმა გლეხებმა ააღებინეს ალღო და შეაყვარეს მას სოფელი და გლეხი. სოფელი და გლეხი შეიქნა მისი ფიქრებისა და ზრუნვის საყვარელ საგნათ. ზემო აღნიშნულ პირობების გარდა, მის სულიერ სითფოს გაღვივებას ხელი შეუწყო იმ გვარი პირების გავლენამ, როგორც იყვენ ჯერ მისი მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილი და შემდეგ-კი ილია ჭავჭავაძე და ანტონ ფურცელაძე.

ბუნებრივად „ტეტიათა მოტრფიალეთ“ შექნილი ნიკო რუსეთის ხალხოსნურ მწერლების (გლებ უსპენსკის, ზლატოვრაცკის, ნეკრასოვის და რეშეტნიკოვის) თხზულებებში თვის გულის ნადების ღაღადებას პოულობდა და საკვირველი არაა, რომ მათი ღრმა პატივისმცემელი და მოყვარული მოწაფეც იყო.

ჯერ კიდევ თუთხმეტი წლის არც იყო აწ განსვენებული ნიკო, როდესაც მას სერგეი მესხმა „დროებაში“ დაუბეჭდა პირველი მისი ლექსი — „სიონის ტაძარს“. შემდეგ ამას მოყვა მთელი რიგი კორესპონდენციებისა — „ხმა პროვინციიდან“ სათაურათ. „მნა-

თობშიც“ იბეჭდებოდა მისი ლექსები. მან კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს დაწერა ისტორიული პოემა „იულონ ბატონიშვილი“ და თარგმნა ბაირონის პოემა „შილიონის პატიმარი“. —

სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ (1875 წ.), ის გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში, საიდანაც არ იფიწყებდა მშობლიურ მწერლობას და „დროებას“ აწვდიდა წერილებს „ხმა მონასტრიდან“-ის სათაურებით. კიევში მან დაწერა პირველი თვისი მოთხრობა „ალი“ და თარგმნა უკრაინელი მწერლის შევჩენკოს პოემა „მუშა ქალი“.

1881 წელს ის აკადემია დამთავრებული დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მიიწვიეს სათავად აზნაურო სასწავლებლის გამგეთ. ხოლო სამი წლის შემდეგ, იგი გააწესეს გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლათ. სათავად-აზნაურო სასწავლებლის გამგეთ ყოფნის დროს მან დაწერა თვისი შევნიერი მოთხრობა „პატარა ქაჯანა“.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ნიკო ლომოურმა სიყრმიდან შეიყვარა სოფელი და მისი ხალხი, შეიყვარა ყოველივე ის, რაც ხელს უწყობდა მათ წინსვლა-წარჩინებას, ხოლო გულწრფელათ შეებრძოლა სოფლისა და გლეხი კაცის ხელის შემშლელს, დამაზავრელ-დამაბეჩავებელ მიზეზებსაც. მის „ბედი უბედურთა“, „ქრისტიანი ლეკები“, „გიგო ღრუბელაშვილი“, „სამფება ამირანი“, „ბერუა ქრისტესიაშვილი“ და „ყოველის მხრიდან“, თუ წაიკითხავთ, თქვენ ნათლათ დაინახავთ, თუ რა გულწრფელი, მრავალმხრივი და ცხა-

დი სურათები სოფლის კირ-ვარამისა გადაიშლება თქვენს წინ...

ღიახ, ნიკო ლომოურის სიკვდილით ქართველებმა დაკარგეს ერთი ნიჭიერი ოთხმოციან წლების „ტეტიათა მოტრფიალეთაგანი“, დაკარგეს იდეალისტი, გულმართალი მუ-

შა და ნამდვილი ოსტატიც ქართული ენისა, დაკარგეს გულით მეგობარი და დიდათ სიმპათიური, ნაზი ადამიანი...

სამარადისო მშვიდობით განისვენოს მისმა პატიოსანი გრძობა-ლტოლვილების მატარებელმა გვამმა შვენეის მშობელს მიწაში.

## ქალი და ბუნება.

შენ მეუბნები: „აი, ახლა ლექსი მითხარო, წინათ შენო არაფერი გამეგებოდა!“

მე-კი მსურს სულში სასაფლავო ამოვითხარო და იქ ჩავმარხო საოცნებოთ, საგანგებოდა.

დღეს მე ბუნება შემეყვარდა... და, იცი, მერე, რა ლამაზია, რა წარმტაცი, რა მიმზიდველი:

შეხე, იქ ცეკვავს ყვავილების სიშვენიერე,

აქ მზე დასურავს უმანტიოთ, შიშველ-ტიტველი...

კოცხალა სიომ—შენც ხომ ხედავ!—ვერ მოითმინა და მზის ისრებით აღჭურვილი სისხამა დილით, კრიალა ნისლის გამქვირვალე კრიალა მინა მიღწე-მოღწეა, ფერიების ლეჩაქ-მანდილით.

და, აგერ, ირგვლივ... აგერ! აგერ! ო, ღმერთო ჩემო, როგორ ხალისობს ეს ბუნება: ეს მთა, ეს არე—ტყე ეკლავება ტინის წყაროს, ტყე საედემო, შიქასტას მღერის იაღონი ჩანგურ-მკენესარე.

ო, კარგო ქალო! ო, კუდრაქავ! ო, ჩემო კობტა! მე ეს ბუნება მეცილება შენს სიყვარულში: მკერდიდან გული ამოჟვარდა, ასხლტა, ამოხტა და ნაცვლათ მზე და ვასკრვლავები ჩავისხი გულში...

შენ-კი მიბძანებ: „მხოლოთ ლექსი, ლექსი მითხარო, რათა სდუმხარო, როცა ქალი გეჩურჩულება?!“ მე-კი მსურს სულში სასაფლავო ამოვითხარო და შიგ ჩავმარხო ჩემი ლექსი, ჩემი თქმულება.

ა. გრიშაშვილი.

## სიციცხლე.

შემოდგომაა გარეთ. ყვითელი ფოთლები ცვივიან ხეებიდან და დედა დაკარგული წიწილებივით დაძრწიან... დაწიალებენ...

— გვცივა... გვცივა!.. ჩივიან იგინი და ეძებენ მყუდრო, თფილს კუთხეს, მარა არსით ჩანს იგი და უფრო უძლიერდებათ ჯავრი...

ღრმა შემოდგომაა ჩვენს სახლშიაც...

მძიმე ავათაა ბებია ჩემიც... იგი იბძვის სიციცხლისთვის, თუმცა ცთა ამაოა... ყოველი წუთი აახლოვებს საშინელს... განუცთელს დასასრულს სიციცხლისას...

— ცივა... ცივა...— ჩივის ბებია ჩემი... მე ვხურავ მესამე საბანს, მარა ამაოთ... მას ისევ ტეხს სიცივისგან ძვლები... ისევ აძაგძაგებს...

აბა, რა გაათფოფს, როცა, აგერ, იმ მომწყდარ ფოთლებივით გამხმარია... გამოფიტებული... სისხლი აღარ უდგა ძარღვებში...

— ქარო, ქარო, გვაკმარე ცივს, ჟინჯლიანს სივრცეში შენიავება... იყუჩე... ნულარ სისინებ... მოგვანიჭე მყუდრო სავანე—ვევდრებიან ფოთლები ქარს...

ბებია ჩემიც ეაჯება, ემუდარება მას... აუცილებლობას... გარდაუვალს... ევედრება სიციცხლის მინიჭებას...

მისი თვალები... ღმერთო... ღმერთო... მისი თვალები... რა შიში, რა განწირულება ჩაწოლილა შიგ... აი, აი, ის თვალები მე შემომამატქერდენ... იგინი მეც შევედრებიან, რო შევაჩერო დაუდგრომელი ჟამი... შევაჩერო რღვევა ბებიას არსებისა... დაფორგუნო უხილავი, მარა უძლივევლი აუცილებლობა... ბებია თვალებით მანიშნებს იმ აჩრდილს, როლიც მოიპარება სარკმელიდან, კარებიდან, ქერიდან, ყოველი კუნჭულიდან და მემუდარება მის უკუქცევას... მის დამარცხებას...

საწყალობელი ბებია... საწყალობელი!..

ის არ მაშორებს თვალებს... ის მოელის ჩემგან ხსნას... ტკბილს სიციცხლეს... მე-კი ცრემლები მახრჩობენ.. ხმა ვერ გამიცია... ნუგეშიც ვერ მიმიცია...

მისი თვალები!.. აახ!.. არ შემიძლია, არა, მათი მხერა...

მე ყრუ ქვითინით გავდივარ მეორე ოთახში...

— უი, ქის, ქა!.. როგორა ყვარებია ბებია!..—კვირობენ დედაბრები, რომელნიც შეგროვილან ჩვენს სახლში და კლავენ შემოდგომის ქალაქ ღამეს გაუთავებელი ჯაყ-ჯაყით და მიეთ მოეთობით...

— რა გატირებს, შეილოა?! დედა ღვთის შზობელმა მაგის სწორი მოგყაროს და მეტი ნუ გინდა—მამშვიდებს ერთი მათგანი და თან ბურნუთით იტენს ბუხარით შემქვარტლულს ცხვირს.

— ოლონდაც... ოლონდაც!.. უდასტურებს მეორე... ტირილი-კი არა, სულ სიმღერით უნდა მიარბეინოთ ამისი კუბო სასაფლაოზე...

— ე, რა ცხარე ბურნუთია, დედაკაცო!.. ფირუხასთან ხომ არ გიყილია?—ეკითხება მესამე. თან უანგარიშოთ აცხიკინებს ცხვირს და წამლავს ჭაერს მწარე მტვერით.—

რა უგრძობელი, რა შეუგნებელია ეს ხალხი!.. მათ თვალწინ იშლება, ირღვევა ქმნილებათა გვირგვინი ადამიანი და იგინი-კი უდარდელათ თქარ-თქარებენ... ლაქლაქებენ... ჯაყჯაყებენ...

ქარი არა ყუჩდება... კვლავ განაგრძობს ქმუილს... ფიცრის კედლების ფარღალალებიდან ოთახშიაც შემოქმუტუნებს და მიავადებს სულს...

არ ვიცი, როგორ მიმდინარეობს დრო: მიქრის, თუ მიხანხალებს...

ვიცი მხოლოთ, რო სანთელი, რომელიც ოთახს მინათებს, იწვის... ღნება... იწვის...

რამდენი, რამდენი ხანია ვხმარობ სანთელს და მხოლოთ დღეს შევადარე ჩვენს სიციცხლეს...

იწვის, ღნება სანთელი და მასთან ერთად იწვის, ქრება სიციცხლეც...

— ვაი... ვაი... კვენისის მწარეთ ბებია...  
... და ...—სანთელიც იცრემლება...  
... იღველფება... ღნება ბებიას სიციცხლესავით...

— უშუა... სსს... გაშმაგებით დაისისინა  
ქარმა და მოაყარა ყვითელი ფოთლები სარკ-  
მელს...

— ვკვდებით... ვიხოცებით... ვკვდებით...  
წვიან ფოთლები...

ვაი... ვაი... მიშველეთ... მიშ... ლულ-  
ლულებს ბებია...

აი... აი... ჩაქრა კიდევ...

ჩაქრა სანთელი და...

ახ, რა აჩხუბებთ ე კრანტ დედაბრებს?...

... ბებია ჩემის ტანისამოსზე ცილაობენ...

დ. თურქდისწირელი.



## სააღდგომო კაბა.

(მოთხრობა).

### III.

კვირა დღე იყო. სოფლის სასამართლოს მოედანი მოსეირნე ხალხით იყო გაქედილი. აქ ფერხული გაებათ ახალგაზღვებს, სადაც კარგა მოხუცი იღებდენ მონაწილეობას და ძველებურ — ჩვენებურ სიმღერას მწყობრათ გაძახოდენ უშველებელი მაღალი ხმით; იქ ათიოდ — თუთხმეტოდენ ქალიშვილს სეირნობა გაემართათ, ფერად-ფერად ტანსაცმელებში გამოწყობილნი მწყობრათ დასეირნობდენ ფართო და განიერ მოედანზე, ხუმრობდენ და იცინოდენ; ალაგ-ალაგ კოხტათ გამოწყობილი და სირმებში ჩახლართულ-გადახლართული ყმაწვილები მეგრულ სიმღერებს გაკოდენ. ისინიც, გამოწყობაში, თითქმის ჯიბრში ჩადგომოდენ ქალიშვილებს: აქაო და, თუ ქალიშვილები ძვირფასათ იმოსებიან, ჩვენც უფლება გვაქვს სირმებში ჩავსხდეთო... ბოლოს, გაისმა „ტაში“ იქ, სადაც ფერხულს მღეროდენ და დიდმა და პატარამ იქით მიაშურა; გააკეთეს წრე და გაიმართა ცეკვა-თამაში. თამაშობდენ, არა თუ ახალგაზღვები, ხანში შესულებიც-კი და თამაშობდენ შეტათ გატაკებულათ, თითქო სურთო დღიური ქირ-ვარამი გადაივიწყონ და

რამდენიმე წუთით მაინც თავი დავიწყებას მიცნო... თითოული ყმაწვილი კაცი თვის წმიდა მოვალეობათ თვლიდა ზდილობიანი თავის დაკვრით გამოეწვია მეორე სქესის ბანაკიდან გულის სატრფო და მაშინ უნდა გენახათ, როცა ჩაუვლიდა ახალგაზღვა ახალგაზღვან და ორნიც ერთად განივარდებდენ განიერ წრეში, ვითა კალმახი მჩქეფარე მდინარეში... ასე მიდიოდა შექცევა და დროს ტარება, რაც ცოტა ხნით მაინც ღებინა ფენს კვირიდან-კვირამდრი მუშაობით დამაშვრალ სოფლის ხალხს... ეს გახლდათ მეგრული „ჯარი“, რომელიც თითქმის ყოველ სოფელში იმართება კვირატუქმობით, აღდგომიდან დაწყებული, ვიდრე შემოდგომამდე.

მარა ყველა არ იღებდა მონაწილეობას ამ შექცევაში. რამდენიმე გლეხი, სასამართლოს ერთს ოთახში, მამასახლისის წინ იდგა ჩაბალახ მოხდილი და ზოგი, რას ჩიოდა და ზოგიც, რასა. სხვათა შორის, კუთხეში ატუზულიყო უცნაურათ დაღვრემილი და სახე-გაფითრებული ტუტუტუ. ერთი შეხედვა მისი დაგარწმუნებდათ, რომ უცნაური რამ უნდა დებოდა გულში. ის ხმას არ იღებდა და უაზროთ აკვირდებოდა, ხან ერთისა და ხან მეორის საჩივარს და პასუხის გებას. ის უცთიდა დროს, სწორეთ იმ დროს, როცა მამასახლისი თავისუფლათ დარჩებოდა მარტოთ მარტო, რადგანაც თვის საჩივრის საჯაროთ თქმის რცხვენოდა, თუმც გაუმჟღავნებლობასაც ვერ შერიგებოდა. დაბოლოს, დაკალიერდა ოთახი და ტუტუტუ წადგა მამასახლისის წინ. მარა ვერ შეუსრულდა მიზანი მარტო დარჩენისა; ცნობის მოყვარე ხალხი, რომელსაც კიდევ ცოდნოდა მიზეზი ტუტუს საჩივრისა, ერთბაშით მოწოლოდა ოთახს, რო ვაგვოთ, რითი გათავდებოდა ეს იშვიათი შიმართულების საჩივარი... მეტი ღონე არ იყო, უნდა ეთქვა ტუტუს ტანჯვანი თვისი გულისა და კიდევ დაიწყო, სულიერათ მოქანცულმა, ხმის კანკალით.

— ბატონო! მთხოვნელი ვარ და მესმინე ჩემი გაქვირება მამა-შვილოურათ, — მდაბლათ მოახსენა მან მამასახლისს.

— რა გჭირს? თქვი მალე; რას იღრან-ჯგები? — მრისხანეთ უთხრა მამასახლისმა და თვის სისხლივით წითელი თვალები შეუბრიალა ისე-ღაც შეწუხებულ ტუტუს.

ტუტუ შეკრთა. მამასახლისმა ისეთი სახე აჩვენა, რომ ის კარგს არას მოელოდა მისგან და, ამის გამო, დაიბნა კიდევ. მან კარგათ იცოდა, რომ მამასახლისი ხელ-ცალიერ მთხოვნელს არას აძლევდა და ასეთი პირი, შეიძლება ბოდა მათრახითაც დაეჯილდოებია, მით უმეტეს, თუ ის ღარიბი იყო. მარა ამას ტუტუ არ მოელოდა, რადგანაც მას თავი მეტის-მეტათ დასჯილათ მიაჩნდა და წარმოდგენილი არ ქონდა, რომ ასეთს შემთხვევაშიაც რიგიანათ არ მიიღებდენ მთხოვნელს.

— რას უტოი, ბიჭო? თუ არ გინდა თქვა, გამეცალე აქიდან. ამდონი მთხოვნელები გვეისტუმრე, დაღალული ვარ და მოსვენება მინდა... რა საქმე ატეხია ახლა შენ კიდევ? მარა ჰო, უსაქმო კაცს საჩივარიც უსაქმური გექნება და გინდა არ მომისვენო. — ისევ მრისხანეთ შეძახა მამასახლისმა.

— უსაქმური რათა ვარ, ბატონო! — წყენით უპასუხა, ცოტათ გამორკვეულმა ტუტუმ, უსაქმური ვარ კი არაა, ჩემისანა წყალწადებული კაცი მეორე არ იქნება; დამკლარი კაცმა, ყელი გამოიქრა და მე ვარ უსაქმური?

— აწი, შე საძაგელო, რა უნდა მოგიხერხო, რო გათქმევიწი, რა გიჭირს! თქვი პირდაპირ, შე პირუტყვო, — შენა! შეყვირა უფროსმა.

— რას მიწყრები, ბატონო? რა უნდა ვთქვა, რო თქმის ნებას არ მაძლევ! თუ მასეა საქმე და წართმევიზა არაფერი იქნება, რა ვადემეწვება ისე ბედი, რო მეც მევერევი, იმისანა კაცი, რა ვა არ იქნება ღუნიაზე?

— სტრაჯნიკ! — დაიყვირა უცებ მამასახლისმა, — ნაობახში ეს მყრალი — ესა! შეხედე, რა მუქარას ბედავს ე პილწი — ევა! ხელათ ნაობახში... მე გიჩვენებ, ვისი მორევაც შეგიძლია, შე უმზგავსო — შენა!

დარაჯებმა ხელი ტაცეს გაფიორებულ

ტუტუს, რომელიც ადგილიდან არ ინძრეოდა. მის გულში ერთ წამს ორი ერთიმეორის წინააღმდეგი აზრი დატრიალდა; ერთი, რო გაძალადებოდა დარაჯებს და რითაც შეეძლო, ხელი გამოეღო და მეორე — ბოდიში მოეხადა უდანაშაულოს დამნაშავეს წინაშე. მარა, სანამ ერთ რომელიმე გადაწყვეტილებას დაადგებოდა, ლაზათიანი მუშტები იგრძნო გვერდებში და მამასახლისის ბძანება საჩქაროთ იქნა სისრულეში მოყვანილი.

ტუტუ ჩასვეს ერთ ბნელ ქოხში, რომელიც სოფლის სატუსალოს წარმოადგენდა... ის კარგა ხანს უაზროთ დარჩა და, როცა გონს მოვიდა, ისე ლაზათიანათ დააკრატუნა კბილები, რო კაცს ეგონებოდა, ესეც არის, კბილებისგან ხელი აიღოვო. ის ასწიართსჯიო და თვის გულში; ემდუროდა ბედს, უკმაყოფილებას უცხადებდა უსამართლობას და თვით ცხოვრებასაც-კი, რომელიც კვალდაკვალ ჩადგომოდა და ყოველ ფეხის გადადგმაზე მწარეთ კბენდა მას... ტუტუს თავის დასჯა თავდაპირველათ უბრალო ჯინის ყრა ეგონა და ფიქრობდა: „ესეც არის გამიღებენ კარს და მოისმენენ ჩემს საჩივარსო“ — და, ამა, რა იცოდა მან, რო სოფლის გულადი უფროსი სრულიადაც არ ეხუმრებოდა... ღამდებოდა და კარი არ იღებოდა. ამ ყოფით ტუტუ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო და თავდავიწყებამდი მისული, ისე ძლიერათ დაეძგერა კარს, რო მთელი ქოხი შეინძრა. მარა, კარს რო ვერაფერი დააკლო-რა, ყვირილი მორთო: — „გაგაძლო იაკობამ, კარგა გაგაძლო? მე ისე-ღაც ვიცოდი, რო შენ იაკობის აფხანიკი იყავი, იმისანა საბაწრე იყავი შენც, შე ქურდების მამასახლისო, შენ! ამიზა იყო, რო ფეხებში უვარდებოდი სზოგაღოლებას და ატყუებდი: — ოღონ ამირჩიეთ და ასეთი ვიქნები და ისეთიო?... გიცნეს, ახლა ყველამ გიცნო, გაგიწყრა ღმერთი! გიცნეს, რო დღით მართალ კაცებს უჯიხარ გვერდში და ღამით ქურდებს... ბარე ხუთ ალაგას გამოგოჩნდა პალოგი მოწმობები, ქურდებისთვის რო მიგიცია, მარა შენ, რისი გცხვენია, უსირცხვილოს შევილს, შე წუწკო, შენ!“...

ტუტუ არ ცხრებოდა და ისე ხმამაღლა ყვიროდა, რო მთელს ხალხში მკაფიოთ მოისმოდა მისი სიტყვები. რა თქმა უნდა, მამასახლისაც არ გამოპარვია არც ერთი ეს მისდამი მიმართული შეურაცხყოფა, რის გამო ის ერთობ აენტო და გონება დაკარგულმა იძრო ბუდიდან რევოლვერი, მოიმართა ხელში და გაექანა სატუსალოსკენ. ხალხი გაშეშებულიყო, სიმღერა-თამაში შეწყვეტილიყო და ქალი და კაცი სასამართლოს მოწყდომოდა. ყველა შიშის ზარს აეტანა და გულის ფანქალით მოელოდა უბედურ შემთხვევას. ვინ იცის, რითი გათავდებოდა საქმე, რო სწორეთ სატუსალოს კარზე არ დახვედროდა მამასახლისი ერთი გლევკაცი და არ შეეყვია: — „გაჩერდი, — არ გაგიშობო“, — რომელიც მართლაც დაეჯახა ჭკუადაბნეულ კაცს, ტაცა მკლავში ხელი და თვალის დახამხამებამდი გამოგლიჯა რევოლვერი. — „სტარჯნიკ!“ — დაიყვია მამასახლისმა, მარა უცებ იგრილა წათამაშებულმა ხალხმა და შოაწვა სატუსალოს... არეული ხმაურობა იდგა და შიგ და შიგა ქალების კვილიც მოისმოდა. შეშინებული მამასახლისი უკან-უკან იწეოდა და ერთად-ერთი სიტყვა: — „ბუნტი“, — შერჩენოდა ენაზე. — „არაფელი ბუნტი არაა, — უთხრა წყნარათ გლევკაცმა, რომელმაც რევოლვერი წაართვა და ახლა უკანვე დაუბრუნა, — დაწყნარდი, შედი სასამართლოში და ამაზე ხმა არ ამეილო, თვარა ეს ბუნტი შენვე მეგებევა კისერზეო“. — მამასახლისი გაშორდა სატუსალოს, მარა მისდამი უკმაყოფილების მლადადებელი, აბობოქრებული ხალხი დიდხანს კიდევ არ დაწყნარებულა... კარგა შეღამებული იყო, როცა ხალხი დაიშალა. ტუტუც არ ჩანდა. არეულობის დროს მისთვის ვილაცას კარი გაეღო და ისიც გაქცეულიყო.

მეორე დილას, ჯერ კარგათ გათენებულად არ იყო, როცა ტუტუ სამგზავროთ გამოწყობილი, ხელში ჯოხით, გაჩქარებით მიდიოდა თვალგადუწვდენელი გზით. ის მიეჩქარებოდა ადგილობრივ ბოქაულთან, რომ ეცნობებია თვისი გაჭირვება. ბოქაულის სამყოფ

ადგილამდი 18—20 ვერსი იქნებოდა. მარა ტუტუმ შეუმჩნევლათ გაირბინა ეს მანძილი და მზე კარგა მაღალზე იყო, როცა ის მიაღება ბოქაულის ბინას. ბოქაული დაბიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა, ერთს მივარდნილ კუთხეში და თვის სასამართლოც იქ ქონდა. ტუტუ მიაღება ბოქაულის ბინას, მარა ჯერ კიდევ მკვდარი სიჩუმე სუფევდა სახლში: ერთი გაიარ-გამოიარა ეზოში და გააპირა სადმე მესობლობაში ეკითხა: — მართლა იქ ცხოვრობდა ბოქაული, თუ გადასულიყო სადმე. ამ დროს უკანიდან გამოჩნდა ერთი შუახნის კაცი, რომელსაც მძიმე სალაში მიცა ტუტუმ და შეეკითხა:

— თუ ძმა ხარ, პირისთავი შინ ბძანდება?

— რათ გინდა პირისთავი? — პასუხის მაგიერ უგემურათ კითხა უცნობმა, თითქო ამით ანიშნა: — შენ ვილაც ტუტუცი ყოფილხარ, ძმობას რავა მიბედავ, რა შენი ტოლი გგონივარ, არ ხედავ პირისთავს ვახლავარ და მხრებზე ჩინი მაკერიაო?!

თუ კაცი ხარ, მითხარი, — კიდევ თხოვა ტუტუმ.

— აქაა — აქ, ძინავს, — კიდევ უგემურათ უპასუხა ბოქაულის იასაულმა.

ძინავს?! — გაიოცა ტუტუმ და უნებურათ შეხედა მზეს.

— ძინავს მაშ! შენი სახლიკაცი ხო არ გეგონა, რო გათენებამდი წამოგვარდნილიყო!.. წადი უკან და ეგერ მეიცადე თხოვნელებთან, როცა დაგიძახონ — მოდი.

ტუტუმ მოუარა სახლს უკან და შეუერთდა იმ დილით მოსულ ათიოდე მთხოვნელებს, რომელნიც ბეჯით იასაულს მიერეკა საიდუმლო ადგილას, რო მათის ლაყბობით უდროვოთ არ გამოეღვიძებიათ ბოქაული.

გაიარა კიდევ კარგა ხანმა და მთხოვნელებიც მიიწვიეს. ტუტუ ბოლოში მოექცა და, როცა მისმა რიგმა მოაწია, ის უცებ დაეცა ორთავ მუხლებზე და სასოწარკვეთილებით დაეღრიჯა ბოქაულს. ბოქაულის ბძანებით ტუტუ ადგა, წელში გაიმართა და მოახსენა:

— ჩემო ხენწიფეო, მე ერთი გაჭირებული გლენი ვარ; ერთი უღელი ხარი მყავდა



და, სხვა იმის საღირალი არაფელი მემძეოდა; სახარებოთ ასი მანათი მაძლიეს უღლათ, მარა რავე გამოწყობოდა ღმერთი, რავე შეველეოდი. ის-კი არა და იმათი იმედით გვარიანი ძალი ყანებს მოვკიდე ხელი და გულში ვფიქრობდი, იქნება წროულს მაინც არ შემექნეს სარჩო სიმინდი საყიდელი-მეთქი. ცოლ-შვილს იმით ვარჩენდი და გარასახადს იმით უღძობოდი...

— ჰო—მერე?—გააწყვეტია სიტყვა ბოქაულმა.

— მერე, ჩემო ხენწიფეო, და წამიკიდა ცეცხლი იაკობა ხოჯაიამ... მე ის კაცი მეგონა, ქრისტიანი იყო, მეგონა და ის, თურმე, ურჯულო ყოფილა და, რა მეგონა... წამართვა, ჩემო ბატონო. „მათხოვეო“ და ხარს რავე დოუშლიდი. ვევიყანე და ვათხოვე; როცა წამოსაყვანათ მივედი, ხანჯლით გამემეკიდა და ძლივს გვექეცი, თვარა მეც მკლავდა. ინებე ხთიური მოწყალება, ჩემო ბატონო, და მოაკეციე ხარი ი კაცის ხორცის მკამელს.

-- იაკობა რომელია, ბიჭო? ის ხომ არ არის, კანცელარიისთან რო ვაქრობს ფართლით?

ის გახლავს, ბატონო,—ის.

მერე იმას რას აძლევდი ხარს, არ იცოდი, რომ ის ავაზაკი იყო?

— შევეცი, ბატონო, შევეცი; პატივისცემა მოუძღოდა წყეუფს: სააღდგომოთ ძღობის საკაბე მენდო და თამასუქი ჩამომართვა: ვადაზე უნდა მიმეცა ფული, თუ არა და ხარები უნდა მიმეცა. მარა ვადამდე ჯერ ორი თვე კიდევ არის... „ორი ღლის სამუშაო მაქსო“ და ხარები გამომტყუა; აწი, რავალი ხარები: თითო, თითო შვილს მერჩია.

— რამდენის გამომართვი ნისია?

— ორმოცდა ხუთი მანათის—ბატონო.

— მერე, რათ გინდოდა, ბიჭო, ამდონი საქონელი.

— წყეულმა ცოლ-შვილმა არ დამაყენა, ბატონო. „აბრეშუმს შევიწვეთ და ჩვენ გვეისტუმრებთო“... შემაცინეს და ამაღების, შენი მუხლებს ჭირიმე.

— ხელისწერილი რ. აგორია, თუ იცი?

— ვინაიდან თამასუქია, ბატონო, თუ ვადას გარავაცილებ, ხარები უნდა მივცე.

— შენ წერა იცი?

-- სახელი და გვარის მოწერა შემიძლია, ბატონო! ი წყეულმა თითონ წიკითხა და მე ხელი მოუწერე.

— ვინ გიყურებდათ.

— სულ არავინ, ჩემო ხენწიფეო, გარემო არავინ იყო.

— არც ის იცი, ვისი დაწერილია ქალაქი.

— არა ბატონო; ახლა უნობს, წერალის დაწერილიაო, მარა დანამდვილებით არ ვიცი, ვინ დოუწერა.

— რეგვობით რო რამე დაგეკარგოს, სხვა რა შვაშია? შე ბრიყვო, ჯერ ჩემი ცოლ-შვილისთვის არ მიყიდი სააღდგომოთ ორმოცდა ხუთი მანათის, თორე შენ რაფერ გაბედე ამდენის ყიდვა, ან საღ გაგიგონია, ჩითში ხარი დააგირავესო, შე ბრიყვო,—შენა?

— შევეცი, ბატონო, შევეცი; ეშმაკები შემომჩიბთა და შემაცინეს.

— კაი შეტომბაა, შენმა მზემ!... მერე მამასახლისს არ უთხარი?

— გუშინ ვიყავი, ბატონო, იმასთან, მარა სიტყვა არ მათქმევინა, არ გამოკითხა, მცემა და ნაობაში ჩამაგდო... იაკობა მამასახლისის მარჯვენა ხელია, იმან კარგათ იცოდა იაკობას უჩივოდი და იმიზა მიქნა ეს... ისინი ერთქამეთს...

— სუ!—გააწყვეტია სიტყვა ბოქაულმა, —ახლა დანოსებს კიდევ მომიყევი? კანონი იყოს, შენ ერთ წელიწადს უნდა იჯდე სატუსალოში, იცი—ერთ წელიწადს!

— მე რეიზა, ბატონო?...

— შენ იმიტომ, რო შენისთანა ვირებს ჭკუა ასწავლოს ციხემ... მოიცადე გარეთ და ქალაქს რო მოგცემენ, ის მიუტანე შენს მამასახლისს, იცოდე დღეს მიუტანე, ხვალისთვის მყავს დაბარებული და შენც მოდი დილით.

ბოქაულის ბრძანება მამასახლისმა მართლაც აღრე მიიღო. მან მაშინვე დაიბარა იაკობა, შეიყვანა ცალკე ოთახში და გამოუცხადა ბძა-

ნება, რომ ის იმავე საღამოს იყო დაბარებული და მამასახლისი-კი დილით.

მეორე დილას, მამასახლისი თვისი მწერლით, იაკობა და ტუტუ მოწიწებით იდგენ ბოქაულის წინ.

— ბიჭო, შენ ხარი წაართვი ამ კაძახს,\*)  
— კითხა ბოქაულმა იაკობას.

— არა, ბატონო, წავართვი-კი არა, ვიციდე; საშველი არ მომცეს: ხან ეს მოდიოდა ხან ამის ცოლი და მეხვეწებოდნენ: გვიჭირს და ხარები გაგვისაღეო.— უღირალი ფასი მივეცი და ახლა შარს მდებს... ასე ყოველი კაცი გაყიდის საქონელს, თუ ფულს ეიღებს და მეორე დღეს საქონელსაც დეიბრუნებს... მოცლილია ეს ვიცხაა და პლუტური საჩივრებით აწუხებს ქვეყანას!...

— სად არის ახლა ხარები?

— მე მყავს ბატონო. ხარები ძლივს შვიდი თუმანი თუ ღირს და ამგებმა ისე შემაბრალეს თავი, რო ცხრა თუმანი გამომადებინეს: ორმოცდა ხუთი მანათის საქონელი მივეცი და სხვა ორმოცდა ხუთი მანათი ნაღდათ დოუთვალე. ახლა კიდევ ხარები უნდა, მარა ამ ანგარიშით არ ცხოვრობს იაკობა... თუ მაინცა და მაინც უნდა, მომიტანოს. ჩემი ცხრა თუმანი და წეიყვანოს მისი ხარები.

— ვაი—ვაი, დაქეულა ქვეყანა! ეს რა ამბავი მესმის, შენი ქირიმე! ეს რა გვეიგონე დღეს!— იბღავლა საზარლათ ტუტუმ.

— სუ! გაჩუმდი შენ,— უბრძანა ბოქაულმა.

— რაფა გაჩუმდე, ბატონო?! თავი უნდა შევიკლა—თავი! გაგონილა ამისანა უღმერთობა, ამისანა ურჯულობა?!

— გაჩუმდი მეტკი. თორე...

— მოიტა, ბიჭო, საბუთი, თუ რამე გაქვს, — უბრძანა ბოქაულმა იაკობას.

— აგერ მაქვს, ბატონო, ნაყიდობა, მისი საკუთარი ხელმოწერილი.

— შენ გაეცი ეს ხელწერილი?— შეეკითხა ბოქაული ტუტუს და აჩვენა ნაწერი.

— არა, ბატონო, ჩემსას ბეჭედი არ ქონდა.

— როგორ არა, აი, წავიკითხავ: „მოგვიდე მე ტუტუ კაკაჩამ შენ იაკობა ხოჯაიას ჩემი საკუთრება ხარები ოთხმოცდა ათ მანათად... და მას შინა საკუთარ ხელს ვაწერ მე ტუტუ კაკაჩია.“ დახედე კარგათ, აბა, თუ იცნობ ხელს?

— ვაიმე, ჩემო თავო!... ხელი ჩემია, მარა ეს ბეჭედი სადაურია, ან ვის დოუწერია ურჯულოს ეს ამგვართ?

— რაფა იქცევი, ტუტუ, შენ დღეს?— მიუბრუნდა ტუტუს მწერალი— ვინ უნდა გაამტყუნო ასეთ სიყალბეში? რაფა, თუ არ იცი, ვისი დაწერილია, ან ვისი დამოწმებული? შენი თვალის წინ არ დავწერე, ან შენ არ იყავი მამასახლისის ეხვეწებოდი: — „ხარები გავყიდე და ნაყიდობაზე ბეჭედი დამისვიო?“ ასე რომ იყოს, ბევრი სხვაც იკადრებს „ატკაზს“... ფულები შეტამე, შე დალოცვილო, შალ-აბრეშუმივ ცოლ-შვილი გამეიწყევე სააღდგომოთ და ახლა ჩვენ გვიპიროფ დაკარგვას?!

— რაფა, მე გთხოვე შენ ქალაღდის დავწერა? შენს ღმერთს მაინც უთხარი მართალი, — თითქმის ტირილით შეეკითხა მწერალს იმედაკარგული ტუტუ.

— კაცო, ხო არ გადარეულხარ დღეს?... შენ რო არ გეთხოვა, ხელები-კი არ მეფხანებოდა. ღმერთსაც ვეტყვი ამას და კაცსაც.

— შენ, რას იტყვი, მამასახლისო, — უბრძანა ბოქაულმა, როცა ტუტუს ენა დაემა და ზიზლით გადახედა იქაურობას.

— მე იმას მოგახსენებ, ბატონო, რომ ეს შარიანი კაცია; არაფლის არ ცხვენია, მუშაობა არ უყვარს, დალოდავს სოფელში და ხალხს ატყუებს... საძაგელი ცრუა, ბატონო...

— მამასახლისო, ვინ მოვატყუე მე?— დაიყვირა სასოწარკვეთილმა ტუტუმ, — მითხარი, დამისახელე ერთი მაინც, ან როდის გინახავს მე, რო ვინმე მედავებოდა?... ურჯულო ყოფილხარ, შე გულ-შკვდრის შვილო! უღმერთო!

— ციც! შეუტია ბოქაულმა, ვის წინ ბედავამას კაძახო!.. გევიგე, რაც გიქნია გუ-

\*) გლეხკაცი.

შინ წინ და ერთი კიდევ გავიგონო შენგან რამე მაგვარები და ციმბირში ამოგაყოფიებ თავს, შე არამზადა — შენა!

— ბატონო, გვიგე ჩემი სიმართლე; ნუ დამწვავ საწყალობელ კაცს.

გვევიგე და გავათავე... კლიაოზნიკი ყოფილხარ, შე წუწკო... წადი, წადი, გაეთრიე აქიდან.

— ბატონო, ნუ დამლუპავ, მართალი ვარ...

— დელილუპე მეთქი, — რიხიანათ ბძანა ბოქაულმა და ისე ლაზათიანათ დაკრა მუშტი მაგიდაზე, რომ ტუტუს ჟრუანტელმა გაურბინა მთელს ტანში. მან ერთი გაიხედ გამოიხედა და უზბროთ გავიდა კარში... თვალზე გამოზნედილი ტუტუ, მუხლების კანკალით ჩამოვიდა კიბიდან და მახლობელ ხის ძირში ჩამოჯდა ღონის მოსაგრეფათ. ამ წამში ის ისეთს დაღალვას გრძნობდა, რომელიც მზგავსი მას თავის სიცოცხლეშიაც არ უგვრძნია, დაუზოგველი მუშაობის შემდეგაც... ის კარგა ხანს იჯდა სახე მტირალი ერთს ადგილზე და, როცა ღონე მოიკრიფა, ზიზლით გააფურთხა და იმედ გასრუებულმა გასწია თავის სახლისკენ. — „ღმერთო, რა გვიგონე დღეს! — ამბობდა გზაზე თავისთვის გულდამწვარი ტუტუ, — ღმერთო, დაგელოცა სახელი, რეიზა უნდა გყავდეს ამისანა კაცები?! ვაი-ვაი! რა მითხრა მწერალმა?... რა მომიგონა მამასახლისმა?... „ოთხმოც და ათი მანათი, მოგეცია“, — იაკობამ... ღმერთო, ღმერთო! ნუ შეითმენ ამას. ხო ხედავ, შე დალოცვილო, რომ კაცები შემოგლევი, შენ მაინც გამიკითხე, ნახე ჩემი სიგლახე და სამაგიერო გაროუხადე ჩემი უსამართლოთ დამლუპველებს“... ასეთი აზრები არ შორდებოდა ტუტუს და რამდენათ უფრო უახლოვდებოდა სახლს, იმდენათ უფრო ბრაზი ერეოდა და მოთმინება ეკარგებოდა... აგერ, მისი სახლიც გამოჩნდა, სადაც უნდა შესულიყო ის დამწუხარებით ეამზნა თავისი თავგადასავალი, მარა უცებ თავი გააქნია: — „შინ რომ ჩვეიდე, რა ვავაკეთო? მომდგება ცოლ-შვილი, ერთი დავიდარაბას ამიტებს და ახლა იმის თავი არ მაქვს; ბარემ, აქედან

წავალ აღუკატან, დევიყენებ იმას, სდიოს მაგ ურჯულოებს და, რასაც ამეილებს, ღმერთმა შევიღობაში მოახმაროსო“, — გაიფიქრა მან და გადაუხვია გზას... დამდებოდა, როცა ტუტუმ სალაში მისცა ნიკოლოზ ქარაიას.

ნიკოლოზი ჩამომავლობით თავადი იყო. პირველ-დაწყებითი სწავლა ოჯახში მიეღო და ორ-სამ წელიწადს ქუთაისის გიმნაზიაშიც ესწავლა. მარა, უნიკობის გამო, გამოერიცხათ სასწავლებლიდან. შემდეგ, რამდენიმე წელიწადი სამაზრო სამართველოში დაეყო მწერლათ და წარმატებას ვერც იქ ღირსებოდა, რადგანც ამგვარი წარმატება მას არ აინტერესებდა... ცხოვრებაში, დაუცბრომელი მოქეიფე, სამსახურისთვის გაჩენილ გაქედლი სრულიადც არ იყო და, თუ მაინც ეკავა ერთი სკამი და ერთი მაგიდა სამმართველოში, ეს ხდებოდა თვისი მაღალი წოდების გამო და უფრო მისი ნათესავების თხოვნით... დაბოლოს, მას თვითონ მომბეზრებოდა მწერლობა და თავი დაენებებია სამსახურისთვის, საიდანაც იმდენი ცოდნა გამოყოლოდა, რომ თამამათ შეეძლო სოფლის უბირი ხალხის მოტყუება... მამულ-დედულიც ადრე გაეზნია და, რაკი არ შეეძლო სხვა სამსახურისთვის ეფიქრა, ვეჭილობა დაეწყო და ხალხში „აღუკატის“ სახელი დაემსახურებია.

რამდენათ ტუტუ მოიღრიკა ნიკოლოზის წინ, იმდენათ ამ უკანასკნელმა ცხვირი მაღლა აიწია; პირველი ორიოდ სიტყვა შინ მიღებადის აღიზნა და, როცა გაიგო მიზეზი მთხოვნელის მოსვლისა, მიიწვია თავის სამუშაო ოთახში, მოუჯდა ფეითონ სამწერლო მაგიდას, რომელზედაც საწერ-კალამს გარდა, კარგა სქელ-სქელი წიგნებიც ეწყო, და ტუტუ შორი-ახლო დააყენა. გამოკითხვით გაიგო ნიკოლოზმა, რომ საქმე ისეთი საიდუმლოებით იყო მოცული, რომ იმის გამომხეურება თითქმის შეუძლებელიც იყო. მარა ის მაინც ძალიან ჩაფიქრდა: ჯერ ქერს მიაბჯინა თვალეზი, მაღალი აზრების მოსახვეჭათ და ბეჯითად დააკვირდა მას, თითქო იქ დაუწერიათ ტუტუს გაქირეების წამალი და ის უნდა ამოიკითხოსო. შემდეგ იატაკს დააშტერდა. ბო-

ლოს, კანონის წიგნებსაც დაუწყო შლა-ფურცელა და, კარგა ხნის მოფიქრების შემდეგ, გამოუცხადა მთხოვნელს, რომ შეიძლებოდა საქმის მოგება.

— შენი ქირიმე—შენი; ოღონ იმეებს ნუ შეარჩენ, ერთი იმეებზე ჯინი მაყრევინე და, რასაც ამოიღებ, ღმერთმა შევიღობაში მოგახმაროს, — დაეღრიჯა ტუტუ.

— არა, ამ წესით მე საქმეს ხელს არ ვკიდებ, — უთხრა ნიკოლოზმა, — მე საქმეს დავიკავ, როგორც რიგი და კანონი ითხოვს, მასთან გარწმუნებ პატიოსანი სიტყვით, რომ მოვიგებ კიდევ და არა თუ ხარებს დაგობრუნებ, იმ ორმოცდა ხუთ მანათსაც გავაბათილებ, რაც შენ ნამდვილ აგილია.

— ის დღე ნუ გოუთენდა იაკობას, რაც ამიღია იმის ატკაზს მე იმას ვეუბნებოდე და სხვის წანაგლეჯს ჩემს ოჯახს ვახმარდე..

— სულელი! თუ შენ ას მანათიანი ხარების ატკაზი გითხრა, შენ ვინ ბძანდები რომ ორმოცდა ხუთი მანათის ატკაზი არ იკადრო?.. მარა ეს ჩემი საქმე არ არის. მე იმას გეუბნები, რომ შენთვის „ბაღლოგი“ შეუღდენიათ და კიდევ უნდა დავამტკიცოთ ეს; მაშინ წინ მამასახლისი, უკან მწერალი და მას უკან კიდევ იაკობა, სამივე უნდა გავისტუმრო ციმბირისკენ; იცი ციმბირი, რას ქვია?

— შენს თავს შემეველოს სანთელივით ტუტუ კაკაჩია ცოლ-შვილით!

— უსაფიოდ. უციმბირობა არ შეიძლება. მარა სამივე უნდა გავგზავნო—სამივე... ეს საძაგლები, ესა! შესედე, რა პაღლოგებს აკეთებენ და რაფა ატყავებენ ღარიბ ხალხს!

— მიმსახურე საუკუნოთ და იმ ძაღლებს ნუ შიპქმევ ჩემ თავს!

— იმის ჯავრი ნუ გაქვს; მე რომ ვიტყვი, საქმეც ვათავებულა. ისე გაუხდი საქმეს, რომ თითო მათგანი გაძღვედეს თითო უღელ ხარს და კიდევ არ ჯერდებოდე... მარა საქმის ყიდვის ხასიათი არ მაქვს. საქმის წარმოებისთვის, ერთ თუმანს ამ თავშივე გამოგართმევ და ორმოც მანათს, როცა საქმეს მოვიგებ; სულ ხუთ თუმანთ გავითავებ საქმეს; ესეც

იმიტომ, რომ შენ ღარიბი კაცი ხარ, თორე იოლი საქმე ხო არ არის!..

— ვაი, ჩემს დღეს! ის თუმანია ახლა რომ საქმეს მიჭირებს: შაურიანი არ შეიძვევა ჩემს ბედათ.

— ეგ შენ იცი, მეტათ საქმე არ გაკეთდება.

— არ შეიძლება მენდოთ? ხვთიანი კაცი ბძან...

— ეგ სანდო საქმე არ არის, თორე დიდის სიამოვნებით; აქ ხარჯებია საქმით: მისულა უნდა, მოსვლა უნდა... საქმის აბრუნებას არცკი ყოფნის თუმანი.

— ვაი, ჩემს სიცოცხლეს! გასაყიდი მანინც მყავდეს რამე, ერთი მეწველი თხის მეტი არაფელი გამაჩნია, მე უბედურს და ჩემი სიცოცხლეც ისაა: ხანდისხან ის მიტყუებს: ბაღნებს, თვარა შიმშილით ღმეხოცება.

— ჰო, თხას ავიყვან, თუ გინდა: კი თხა თუა, თიქნიანათ ავიყვან თუმანათ... საქმე მალე გათავდება და, თუ ციმბირში არ დამაკარგვინებ მაგ საძაგლებს, რამდენ ძროხებს, ხარებს და ცხენებს ამოგაყვანიებ, ვინ იცის? სამივეს უჭირს საქმე და სამივეს გაგატყუებინებ, თუ მორიგებით გავათავებ საქმე...

ტუტუ ჩაფიქრდა. მას ძალიან ეძნელებოდა თხის მიცემა, მარა ამდენმა ალტქმამ სხვა ჭკუაზე დააყენა და გადაწყვიტა მიეცა თხა, მხოლოდ განიზრახა შეეპკრებოდა და ამ აზრით ისევე დაეღრიჯა ნიკოლოზს:

— თხა ძალიანია, ბატონო, რამდონჯერა ნაძღვევი თუთხმეტი მანათია, სულ ყურის მეზობლები მაძღვედენ, მარა ამისანა არ გამჭირებოდა, იმას რაფა შეველეოდი წვრილი ბაღნებიანი კაცი?.. ერთ ოჯახათ ღირს, ვისაც უნდა.

— ჰო კარგი, თუ მეტი ღირს, შენი ნაცოდვარი არ მინდა, ღარიბი კაცი ხარ და იმ ორმოც მანათში გამოგოიანგარიშებ, რომელიც მერე უნდა მომცე.

მეტი ვაჭრობა ვერ გაბედა ტუტუმ და შეპირდა კიდევ თხა იმავე ღამეს მიეყვანა; სამაგიეროთ ვეპილიც შეპირდა, რომ მეორე

დღიდანვე საქმეს დაიწყებდა და უზომოთ დასჯილ ტუტუს გულს გაუმთელებდა.

წარმოდგენა არ შეიძლებოდა, თუ როგორ იტანჯებოდა ტუტუ. ცალკე ხარების დაკარგვით ტიროდა მისი გული, ცალკე თვის მტრების შხამი უწუხებდა სულს და უფრო მეტათ ის ტანჯავდა, რო ხენა-თესვის დრო დამდგარიყო და მას ხარები არ ყავდა, რის გამო, სულიერი მოსვენება და ყოველგვარი ნუგეში დაკარგოდა. ის, ხან თოხს წაავლებდა ხელს, ხან წალდს, ხან ბარს, ხან იქით წავიდოდა და ხან აქით, მარა ვერავითარ საქმეს ხელს ვერ კიდებდა. ან როგორ შეეძლო ეზოში თავი შეექცია მუშა კაცს, სადაც მას სამუშაოც არა ქონდა, როდესაც მისი მეზობლები ქალაში გამოფენილიყვნენ და ხარბათ შედგომოდნენ ხენა-თესვის? ამ გარემოებით, ტუტუს თავბრუ ეხსმოდა და დღეები წელიწადებათ ეჩვენებოდა. მას ისეთი მოყვარე, ან ნათესავი არ ყავდა, რომელსაც ხელი გაემართა მისთვის ამ გაჭირვების დროს და, ვინც ყავდა, იმათაც ზურგი შეაქციეს ამ ახირებულ მეოჯახე კაცს, რომელმაც ხენა-თესვის დროს ხარები გაყიდა და ცოლ-შვილს კაბები შეუკერა... მეზობლობაში, მხოლოდ მიხელი კონწარია შესულიყო ტუტუს მდგომარეობაში. მართალია, პირველათ ის სულ სხვა აზრის იყო მის შესახებ და მეწყერსაც რო წაელო, არ ფიქრობდა, თუ სიბრალულს იგრძნობდა მისადმი, მარა შეუცვალა შეხედულება სანდროს სიტყვებმა და განიზრახა შემწეობა აღმოეჩინა. მხოლოდ არ ჩქარობდა, რადგანაც უნდოდა, რო დასამხსოვრებლათ დასჯილიყო ტუტუ თვისი წინდაუხედავი მოქმედებისთვის.

ახლა, რას აპირობ, შე ბ'იეცო? — შხამიანათ შეეკითხა ერთ საღამოს, მიხელი ტუტუს, — ჰო, რას აპირობ მეთქი? რითი გინდა თესლი მიაბარო მიწას; კინკებზე რო გოუშვი თვალი და ხარები დაკარქე, მეიტაცებდენ გეგონა ი შენი ცირუიას, თუ რას ფიქრობდი მაშინ?

— იწამე ღმერთი მიხელ, ნუ მომაგონებ

იმ ამბავს, — უკიდურესი მწუხარების გამომატველი კილოთი უთხრა ტუტუმ, მეყოფა, რაც მკირს და, რაც მემეღის და შენ კიდევ ნუ დამწვავ გულს, შე უბედურო... ის დღე რო მომაგონდება, ხანდახან თავის მოკვლასაც გავიფიქრებ... შენ გონიერი კაცი ხარ, მიხელი: სხვამ, რაც უნდა თქვას, მარა შენ ნუ... ნუ მეტყვი, თორე, ღმერთმანი... არ ვიცი, რას ვიზამ.

მიხელს უნდოდა კიდევ რამდენიმე ღვარძლიანი სიტყვები მიეძღვნა ტუტუსთვის, მის ქკუის სიმჩატისთვის, მარა იმის უკანასკნელმა სიტყვებმა სულ სხვა აგრძნობია მას; ის წამს გათავისულდა შხამიანი აზრებისგან და სულ სხვა მიმართულებას დაუთმო გულში ადგილი.

მოდი ჩემთან ტუტუ, — დაამებული და იმედიანი ხმით დაუძახა მან ტუტუს, რომელსაც თვალეზში ცრემლები მორეოდა და კიდევ გაცლოდა მიხელს.

ტუტუ მობრუნდა და ჩააჩერდა თვალეზში მოუბარს, თითქო ეუბნებო: — „შენ მაინც რა დაგიშავე — შე უღმერთო! რას მერჩი, რათ მიმწარებ ისედაც გამწარებულ სიცოცხლესო?“ — მარა მოულოდნელი რამ მოესმა მის ყურებს:

— რამ წაგახთინა, შე გლახა? ასე უნდა კაცი? — თანაგრძნობით უთხრა მიხელმა. — არ გინახავს, რო ყოლიფერი ერთ საათს დეეწვა კაცს, მარა თავი არ მოუკლავს! რამ დავაძაბუნა?... ხარებიზა ხარებს იშონი კილა. მერცხალივით შვილები გეზდება, ღვთის მოცემული, და მათი შემყურე მამა ასე რავა უნდა წახთე? წროულს მე მინათხოვრებია შენთვის ხარები, შიმშილით არ მომიკლა და, რავდენ ხანსაც გინდა — გაყავდეს... ჯავრი ნუ გაქ, კილო შეგვიწყობ ხელს.

ტუტუ, სიხარულით ეცა მიხელს და რამდენჯერმე აკოცა გულზე... აბა, რა ეგონა მას, რო ის მიხელი, რომელიც წამს უკან შხამიანი სიტყვებით გულს უხვრეტდა მას, მეორე წამსვე მოიღებდა მხეცედენ მოწყალებას!.. ეს ხომ პოველი სიმდიდრე იყო მისთვის, მარა ის ჯერ კიდევ ყურებს არ უჯე-

რებდა ამ ამბავს და, სიხარულით აღზნებულნი, შეეკითხა მიხელს:

— მიხელი, შენ მიშობი ამას—შენ?

— მე,— მე; გამომყევი და ახლავ ჩაბარებ ხარებს.

ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ ამის სამაგიეროს გარახთა ერთიორათ არ შემადლებიოს... შეილს გარავცემ და შეილის-შვილს, თუ იმ დღეს შევესწარი, რა შენი ვალი გარუხთელია ჩემი ოჯახისთვის...

... საქირო არ არის... ოღონ მარჯვეთ იყავი და შენ, რა ყანები გაქს ხარებსაც გიყიდის და სარჩოთაც გეყოფა.

— მომიტეს ის შეილი, რომელმაც ეს დავალება დეივიწყოს.

— კარქი, გეყოფა; ბევრი ბოდიში საქირო არ არის.

ტუტუმ შეისვენა; უშველებელი ლოდი ჩამოეშვა მისი ტანჯული გულიდან და თავისუფლათ ამოისუნთქა... მარა მარტო ამას არ შეეძლო მისი დაკადილი გულის მორჩენა. მას ისევ ისე უტრიალებდა თავში თვისი ხარები, იაკობა ვაქარი, მამასახლისი და მწერალი; მას ყოველ წამს თვალწინ ედგა განვლილი მწარე სურათები და მტრებისადმი სამაგიეროს გადახტას შეეპრო მისი გული და გონება, რომლის უტყუარ გზათ ნიკოლოზ „ადუკატი“ აერჩია... მართალია, მას გული ასწავირათ უწუხდა, მარა ესეც კია, რომ მიხელის დავალებამ ეს მწარე ფიქრები შეასუსტა და, ოღონ არის, ფრთები შეაკვეცა. ტუტუს ახლა უფლება ქონდა წელში გამართულიყო და გვერდში ამოდგომოდა მეზობლებს, ვაება ხარები, გადაეშავებია უპატრონოთ მიჩენილი ყანები და თან ყური ეგდო, რას იმოქმედებდა ნიკოლოზი. ის მოელოდა, რომ ნიკოლოზი სისხლის სამართალში გახვევდა სამივეს და გადასახლდებდა კიდევ ყალბი საბუთის შედგენისთვის. მარა აქაც მოტყუდა: რამდენიმე კვირის შემდეგ, ტუტუ დაიბარეს სოფლის სამართალში და ხელი მოაწერიეს იმ გამოცხადებაზე, რომ მისი საჩივარი, რომელიც მიუერთმეგია მაზრის უფროსისთვის, უყურათღებოთ დაუტოვებიათ. ტუტუს შხამი გადაესხა

გულზე. მარა რალს იზამდა? ის იმავე საღამოს გაიქცა ნიკოლოზთან, გააგებია საქმის ვითარება და თვის წყენაც, მარა ნიკოლოზმა ის მოხერხებულათ დააშომინა: „ასე არ დაწყებულყო საქმე, არ ვარგოდა,—უთხრა მან ტუტუს, ნახალნიკთან განგებ დავიწყე პირველათ, თვარა ეს მისი საქმე არ არის. ახლა პროკურორს მივცემ ქალაღს და ფიცხელ გამოძიებას დავანიშნებ. მაშინ მე ვიცი მისი საქმე! ვითომ მაგით გათავდა, გეგონა? ისეთ დავიდარებას ავტებ, რომ ერთი მეორეს ვერ ცნობდეს... შენ ჯავრი ნუ გაქვს, წადი—იმუშავე მაგის საქმე მევიციო“... ამნაირათ იმედმოცემული ტუტუ არხინათ გაისტუმრა ნიკოლოზმა.

გავიდა ამის შემდეგ ოციოდე დღე და სოფლის სასამართლოში დიდი ცვლილება მოხდა: აღმოჩენილიყო, რომ მამასახლისი და მწერალს, ყალბი მოწმობით, გაეთავისუფლებიათ ჯარში გასაწვევი კაცი, რის გამო ესენი ხელათ გაეშვათ სამსახურიდან და სისხლის სამართალშიაც მიეცათ... ეს ამბავი, სოფელმა ტუტუს საქმეს მიაწერა და შეიქნა მითქმამოთქმა;

— მობრუნებულა ტუტუს ბედი; ერთი უღელი ხარი დეეკარქა და ხუთ უღელს ამეიყვანსო.— ამბობდა ერთი

— რომ ამეიყვანს, ამას წინ, რა უღვია, მარა სულაც რომ არაფელი ამეიყვანოს, მარტვა ის არ კმარა, რომ ღირსება ახადა მაგ ურჯულოებს?.. დედა, რას შობოდენ— რას?! და აქციეს, დაანელეს ქვეყანა!.. მასრას მიუგავდა კისერი ი მამასახლისი, როცა ჯაჭვი დეიკადა და ახლა რომ შეხედო, ვერშოკით გადაჩანს კისერი საყულოს... ადასტურებდა მეორე.

— ასე იქნება, თუ ისე, რაცხა იქნება, ერთი-კი იქნება, მარა შენც-კი ხარ ერთი მედროვე,—უთხრა პირველმა მეორეს,—ახლამღი ფეხებში უძრობოდი და იმათ თავს ფიცულოობდი და ახლა რეებს უნობ იმათზე... მარა კი ხთება მაგნებს; მაგნები ყორიფლის ღირსია, რომ შენისანა კაცები დეიფხანიკეს!

— ჩემი ჰირი და ფათერაკი მაგათ კი გაცილია... ბიჭო, შენ სულელი ხარ, შენ საწყ-

ყალობელო, ძაან განზე დოუდექი, თუ გიყვარდე, თუ არა დიდ რამეს მეიგებ! სანამ იყვენ. ვეფერებოდი, არ არიან დაკისერიც უტეხიათ, მაგათ მაგიერს ვერ ვიშონი თუ? — ლილილით უპასუხა მეორემ.

— ჰო-ჰო-ჰო! რა ხალხი ყავს ღმერთს, რა?! — გამოერია ლაბარაკში მესამე, — თქვენ დაკარქეთ ისინი — თქვენ; თქვენისანა კაცებს რო დოუამხანიკდენ, მიშინ წააგეს იმათ თავიანთი ბედ იღბალი.

— მათი ოხერმა თავმა დაკარქა; ჩვენ რა შვაში ვართ? ყოველ დღე ნაღდათ და ნისიათ რო ვაქრობდენ, არ იცოდენ, რა დემართებოდენ? — უპასუხა ისევ მეორემ.

— ახია, რაც მოუვიდათ, — თქვა მეოთხემ; — ჩენი სიკიას როცხენი დეეკარქა, იმის მოწმობა, თურმე, ათი დღით წინ მიუცია იაკობასთვის, ქურდს რო ეთქვა, — ესა და ეს ცხენი უნდა მევიპარო, მოწმობა დამიშადეო“, ის გამოუწყობდა და ჯიბეში უღობდა, მარა უწია ბოლოს... აღრე იყვენ დასაკარქი და გვიან იკარქებთან... საწყალობელი ტუტუ! ქე არ გაჩთა მისი სიმართლე?.. მარა ტუტუკი!.. ტუტუკი არა აღუკატმა ქნა, ძმაო, — აღუკატმა: მისთანა აღუკატი ახლა ქუთეისში არ მეიძება... გამუგართმევს, მარა საქმესაც გააწყობს... შიარგოს ღმერთმა მისანა კაცს.

— ოოო, ნიკოლოზი დიდი აღუკატია; ის რო არ ყოფილიყო, ტუტუს რა შეეძლო? ვის, რას შიასმენდა და ვინ რას გოუგონებდა? მარა აყოფა ღმერთმა ნიკოლოზი, იმან რო ხელი მოკიდა საქმეს, მერე უნდა ცოდნოდათ მამასახლის და წერალს, რო გლახათ წაუვიდოდათ საქმე და ქეც დემართათ სასირცხო. — ამბობდა სხვა და თითქმის ყველა თანახმა იყო ამ აზრისა.

ტუტუს; რა თქმა უნდა, დიდის აღტაცებით შეეგება ამ ამბავს. ის სულ ნიკოლოზის ლოცვა-დიდებაში იყო, რომ ასე უცბათ

შეატრიალა საქმე. ამ სახით მას ცოტ-ცოტათ ეფერებოდა ჟანგი გულიდან და თვალები სულ ქიშკრისკენ ქონდა მიჩერებული, მოციქულის მოლოდინში, რომელსაც ელოდა, მამასახლისისა და მწერლისგან, რომ შერიგება ეთხოვათ და ხარები დაებრუნებიათ.

კარილე წუთასოფლედი.  
(შემდეგ იქნება).



# გ ა ნ თ ი

(შოთხმობა).

АИП.

ამ დღიდან ბაბოს არაჩვეულებრივი ყოფა-ქცევა დაჩემდა. როგორც გაზაფხულის პირათ საედროთ გამზადებული ცა მოიპირქუშებს და ჟუჟუნა წვიმით დანამავს დედა-მიწას; წამსვე გადიღებს, ჯგუფ-ჯგუფათ მსრბოლავი ღრუბელთა გუნდი თანდათან იმეჩხრებს და შორს-შორს გაიფანტება; პირზე ჩადრ ახდილი ტურფა მნათობი კეკლუცათ გადმოხედავს სამყაროს და სამური ღიმილით მისეღმება მას, ისე ბაბოს ნათელ პირისახეს დრო გამოშვებით შავი ბურუსი დაფარავდა ხოლმე და წაართმევდა მას მის თანდაყოლილ სიხალისეს — მხიარულებას. მაშინ იგი მოწყვეტილი იყო ამ ქვეყნიერობას და ოცნების სამეფოში დანავარდობდა. ხშირათ ისე გაიტაცებდა მას ფიქრები, რო გაკვეთილის დაწყებას და გათავებასაც-კი ვერ გაიგებდა.

შოლოთ ახალი მასწავლებლის ლექციას ისმენდა იგი ვანსაკუთრებული ყურათღებით. მაშინ იყო ჩვეულებრივი ბაბო, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, ცქრიალა ბაბო, პირველი დაუცხრომელი მოკამათე გაუგებარ კითხვებში მასწავლებელთან.

ამ დროს იგი ცელქობდა, თვალები აღტაცებით უბრწყინავდენ, საკითხს-საკითხზე აყრიდა მასწავლებელს და საერთო სიხალისე შექონდა მეცადინეობაში.

ერთ დღეს განსაკუთრებულ ცუდ გუნე-

ბაზე იყო ბაბო. სასწავლებელში მეცადინობა უკვე შეწყვეტილი იყო და მოწაფეები საშობაო არდადეგებზე იყვნენ გაშვებულნი.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა. ბაბო ახალი ამდგარი იყო ლოგინიდან, ტულეტის მაგიდას უჯდა და თზას ივარცხნიდა.

ამ დროს დიასახლისის პატარა ბიჭმა წერილი შემოუბრუნა მას, რომელიც ფოსტალიონს ბაბოს გადასაცემად დაეტოვებია.

ბაბომ ბავშვს წერილი ჩამოართვა, მაღლობის ნიშნით შუბლზე აკოცა, ხელში კამფეტები ჩაუღვია და გაისტუმრა.

— ეს... გიგლასგან ზნდა იყოს!..— ჩაილაპარაკა მან და პაკეტი გახსნა.

— ო ხო! ჩამოდიო!.. ფულიც გამოუგზავნა!..— უკმაყოფილოთ წარმოთქვა მან და წერილი იქვე მიავლო.

ამ ამბავმა იგი ცუდ გუნებაზე დააყენა. მას ვერ გადაეწყვიტა: წასულიყო, თუ დარჩენილიყო. რამდენათ სახლში წასვლა, იქ საყვარელი მშობლების, გიგლას, დის ნახვა იზიდავდა, იმდენათ რაღაც უხილავი ძალა უკან ექაჩებოდა მას და სატანიური ხმა ყურში: „დარჩი, დარჩი“-ო, ჩაჩურჩულებდა.

დიდ ხანს ებრძოლა ბაბო თავის თავს, ათასნაირ ანაღოს უკეთებდა ორს, ერთიმეორის მოპირდაპირე გრძობებს— აზრს და თავისებური დასკვნები გამოჰყავდა.

... არა... უმჯობესია, წავიდე... გული მეუბნება ამას... ვგრძნობ... გლახა ფეხზე გადავეყარე იმას... ახლო მასწავლებელს... და, თუ დროებით მაინც არ გავშორდი ამ მოწამულულ ატმოსფერას, უბედურება აუცილებელია... მაშ, მივდივარ... უეჭველათ, მივდივარ!.. შორს ჩემგან მაცდურო აზრებო!..

და ამ სიტყვებით დამშვიდებული ბაბო წასვლის თადარიგს შეუდგა: გაიგო, თუ როდის გადის მატარებელი, ჩააწყო მაფრანგოში, რაც წასაღებათ აუცილებელი ნივთები იყო საჭირო და დანიშნულ დროს რკინის გზის სადგურისკენ გასწია.

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწვავო“, რომ იტყვიან, სწორეთ ისე დაემართა ბაბოს.

ბათუმისკენ მიმავალმა მატარებელმა მთელი სამი საათი დაიგვიანა.

ამ ამბავმა ბაბო ძლიერ დაალონა. სამს საათს უნდა ეცადა კიდევ... და ისიც სადგურზე... მან გადაწყვიტა, უკანვე დაბრუნებულყო:

სამს საათს კარგათ მოისვენებდა; სადილსაც დაისრულებდა, რომელიც სიჩქარით ველარ მოასწრო.

ამ აზრით იგი სადგურიდან გამოვიდა, ტრამვაის ვაგონზე შეჯდა და შინისკენ გაეშურა.

დერეფანში მას დიასახლისი შეხვდა.

— ეს რა ამბავია, რატომ დაბრუნდი, ბაბო?!— ცნობის მოყვარეობით შეეკითხა იგი ბაბოს.

— მატარებელმა დაიგვიანა და სადგურში მოცდას, შინ ყოფნა ვამჯობინე. მაინც მივუსწრებ...

— დიდებულია!.. სადილი მაინც არ გქონდა მოთავებული. შამოძანდი, ყავა შირთვი!..— ამ სიტყვებით დიასახლისმა ბაბოს ხელი მოკიდა და სასადილო ოთახში შეიყვანა.

— ააა...— ბაბოლინა ქაიხოსროვნას ვახლავარ!.. დაბრუნდი კიდევ!..— ხარხარით მიამხა ივან პეტროვიჩმა მას, რომელიც, მსუყე სადილის შემდეგ, ყავას შეექცეოდა.

— კი არ დავბრუნდი... მატარებელმა დაიგვიანა...

— სულ ერთია! აწი ველარ წახვალთ, მე ვგრძნობ ამას... დაბეჯითებით წარმოთქვა ივან პეტროვიჩმა და ბაბოს ისეთი თვალებით შეხვდა, თითქოს ეს-ეს არის უნდა ჩანთქასო.

ბაბომ პასუხათ ვერაფერი უთხრა. სევდიანი გამომეტყველებით გადახედა მას და საყვე თავისკენ მოიწია, რომლის დათავებისთანავე თვის ოთახში გავიდა.

დრო მიდიოდა. ბაბოს წასვლას ნახევარი საათი-ღა აკლდა. იგი ჩაფიქრებული იჯდა ფანჯარასთან და უგრძობლათ ქუჩისკენ გაიყურებოდა. ნერვებ-აშლილივით ხელებს იმტერვდა— წმარურობდა...

საათი მეთექვრმე ნახა.



ხუთ წუთში, აუ არ წავიდა, მერე ვერ მოუსწრებს...

იგი შურდულივით აღდა, თავზე საჩქაროთ შლიაპა დაიხურა, მათრასის ხელი წამოავლო და კარებისკენ გაექანა.

კლიტეში გასაღებმა დაიწკრიბა; კარები ნახევრათ გაიღო და ის იყო უნდა გასულიყო, რომ უხილავმა ძალამ იგი შუა კარებში გააჩერა.

ერთხანს გაუნძრევლათ იღვა და ჩაფიქრებული ერთ წერტილს მიჩერებოდა. ბოლოს, ხელი ჩააქნია, ინსტიკტიურათ უკან დაიხია და შიგ ოთახში მიიქცა.

— არ მინდა... არ მივდივარ!...— გადაწყვიტა მან, კარები მაგრათ მიჯახა და ტანზე გაიხადა.

— ტყვილა-უბრალოთ უნდა შევწუხდე... დავიხარჯო... აქ უკეთესია... — ხმაშაღლა წარმოთქვა ბაბომ, მაგიდას უჯრიდან საფოსტო ქაღალდი ამოიღო და მოკლე წერილით სახლში შეატყობია, რომ ვინაიდან ბევრი სამაცადინო აქვს, თან პრაკტიკაზე დადის, მას არ შეუძლია წამოვიდეს და ამიტომ ნულარ ელიან.

წერილი დაბეჭდა და მოსამსახურეს გადაცა საფოსტო ყუთში ჩასაგდებათ.

IX.

ოთახი, რომელშიაც ბაბო ცხოვრობდა, სადათ იყო მოწყობილი. მარა ისე კოხტათ და ლამაზათ, რომ მნახველი, უეჭველათ, გაიღებდა გულში: აქ ტურფა ასული ცხოვრობს, რომელსაც ზვისი სინაზე ფიანდაზათ მოუფრქვევია ოთახის ყოველივე კუნჭულშია.

ოთახს ქუჩისკენ ორი მოზდილი ფანჯარა ქონდა, რომელთაც თოვლივით თეთრი ორიგინალურ ნახატებით ნაქსოვი ფარდა ოდნავ ფარავდა.

ერთ კუთხეში ცისფერი ხავერდისა გაწყობილი დივანი იღვა სკამებით. ცოტათი მოშორებით, ფანჯარა და ფანჯარას შორის კედელზე ტუალეტის მაგიდა იყო მიდგმული ათასგვარი კოსმეტიკით და სატუალეტო მოწყობილობით სავსე. აქვე ძვირფასი შირმა ფა-

რავდა სუფთათ და ლამაზათ გაწყობილ რკინის კრავატს.

კედლებიდან-კი სივრცეს სხვა და სხვა გვარი სიმბოლოს გამომხატველი სურათები გადმოყურებდნენ. აქ ნახავდით საქვეყნო გენიოს „ნაპოლეონს წმ. ელენეს კუნძულზე“, რომელიც დაწყნარებულ ზღვის პირას კლდის ნაპირზე წამომაჯდარი გეგმებს ადგენს წასული დიდების დასაბრუნებლათ; და—ვიჩის უკვდავ ქმნილებას „ღვრიკონდას“, „ბეტოვენსა“, „ლევ ტოლსტოის“ და მრავალი სხვის. აქვე, ამ გენოსთა და მათ ქმნილებათა გვერდით შეამჩნევდით შენეიერ სქესის სხვა და სხვა გვარ გამომხატულებას, მიჯნურთა ხვეწა-კოცნას, წაჩხუბებულ გაბუტებულ ცოლ-ქმართა და სხვას.

ეტყობოდა, ამ ოთახში მცხოვრებს თავი არ ემტვრია სურათების არჩევაში: რაც ერთ ხასიათზე მოწონებია, ის უყიღია და კედელზე მიუკრავს.

ძლიერ უყვარდა ბაბოს რბილ სავარძელში ჩამოჯდომა და ამ სურათების ცქერა, რომლებიც უღვიძებდა მას ლტოლვილებას განდიდებისადმი, რიგი-კი გრძობებს უღიზიანებდა და სქესობრივ ინსტიკტებს უღვიძებდა.

მაისის შენეიერი ღღეფები იღვა. მიდამო თვალის წარმტაცათ აბიბინებულიყო და სამეჯლისოთ იწვედა ყოველივე სულდგმულს.

ბუნების ამ სიკეკლუცეს და სიშვენიერეს მხოლოთ ბაბოს გული ვერ აეტოკებია; მხოლოთ ბაბო ვერ აეძულებია მოშორებოდა თვის ოთახს და საერთო მეჯლისში ჩაება. ამისთვის ბაბოს არც ხასიათი ქონდა, არც მოცალეობა.

მას, დიდი ხანია, რაც სულიერი სიმშვიდე დაეკარგა და მუდამ ცელქ-ცოცხალ არსებიდან გასაოცრათ გარდაიქმნა. ამ ორი-სამი თვის უკან ბაბოს მნახველი ახლა ვეღარ იცნობდი მას: იგი ერთობ ჩამოდნა, სახე გაუფითრდა, თითქოს დიდი ხნის ნაავათმყოფარიაო და მოძრაობაც შესამჩნევათ დაუჩლუნგდა.

ბაბო წუხდა, იტანჯებოდა და ყოველივე ამის მიზეზი ის ახალი მასწავლებელი გახლდათ, რომელმაც ასე მოულოდნელათ დაისად-

გურა მის არსებაში და აუფორიაქა ამ რამდე-  
ნიმე თვის უკან დამშვიდებული სული.

ივან პეტროვიჩის დანახვაზე იგი ერთობ  
ცახცახებდა, თვალეები ებნიდებოდა და, რო  
რამეზე არ დაყრდნობოდა, უეჭველათ, დაე-  
ცემოდა.

მასში გრძნობა და გონება ერთიმეორეს  
დაჯახებოდა და ვერ გადაეწყვიტა, რა გზას  
დადგომოდა. ივან პეტროვიჩი, ეს ვიღაც რუ-  
სეთელი „ფრანტი“, თუ გიგლა, ბაბოსთვის  
თავდადებული, ერთგული გიგლა, რომელსაც  
გაგიყვებით უყვარს იგი, ბავშობიდან არის მას-  
თან დაკავშირებული. მართალია ივან პეტრო-  
ვიჩი მკურნალია, გიგლაზე ბევრათ წინ დგას,  
დიდი კარიერა მოელის ცხოვრებაში, მარა...

— „არა... მე გიგლა მიყვარს, ჩემი გიგ-  
ლა... ჩემი თვალ ქუქუნა გიგლა... მას ვერ  
ვუღალატებ, ვერა!.. ოხ, ღმერთო!.. მომეცი  
ძალა, რო გავუქმლავდე მაქლურს“!..— გულ-  
დამშვიდებით იტყოდა ბაბო, თვალეებს ამოის-  
რესდა, თითქოს ახლათ გამოღვიძებული, მა-  
გიდას მიუჯდებოდა და უკვე გადაშლილ  
ხელსამძღვანელოს მიაჩერდებოდა...

ხშირათ ერთი და იგივე გვერდი საათო-  
ბით რჩებოდა გაღუშლელი; ერთ და იმავე  
წინადადებებს რამდენჯერმე ამოიკითხავდა, მა-  
რა ის გაუგებარი რჩებოდა, და ისევე კითხუ-  
ლობდა.

— „ეს რაღა ჯანდაბაა?! ივან პეტრო-  
ვიჩმა-კი ახსნა დღეს... ძა... ივან პეტროვიჩი-  
მა... რა შევნიერათ კითხულობდა ლექციას...  
გრძნობით, ყველა გაფაციცებით მიჩერებოდა...  
ის-კი... ის-კი მე... მე მომჩერებოდა. ჩემკენ  
იყო მისი აღზნებული თვალეები მოპყრობი-  
ლი... მე უყვარვარ... უეჭველათ უყვარვარ  
მას... ის არ მატყუილებს, არა... არა... ყო-  
ლათ შეუძლებელია... ვანო არ არის სხვებსა-  
ვით მატყუარა... იგი კარგია, პატიოსანია...  
იგი... იგი... მე მიყვარს... მიყვარს... მე მი-  
სი ვარ... უიმისოთ ცხოვრება არ შემძლია,  
არა... არა... — და თვალეებ ამღვრეული ბაბო  
გიყვივით წამოხტებოდა ხოლმე და მოყვებოდა  
კუთხიდან კუთხემდე სიარულს.

— Можно къ вамъ!?. — მოისმა ამ

დროს განის კარებიდან ივან პეტროვიჩის სა-  
ამური ხმა. პასუხის დაუდგელით კარები გაი-  
ლო და გამოჩნდა ივან პეტროვიჩი, რომელ-  
საც მარტო ხალათზე ფიდუჯაკი გადაეცვა და  
ფეხზე გულლია წალეები ეცვა. იგი შინაურ კა-  
ცათ ითვლებოდა ბაბოსთან და იმიტომ იყო,  
რომ ასე შილიფათ ჩაკმული შამოვიდა მას-  
თან.

— ოხ, რა შემაშინეთ!.. — ძლივს-ღა წარ-  
მოთქვა გაფითრებულმა ბაბომ.

— Ничего, моя дорогая!.. ჩემთან  
რისი გეშინია... ეს, რა ამბავია?!.. როგორ გა-  
ფითრებულხარ? Что съ тобою, Бабочка?..

— არაფერია... მე. — ისე... კვითხულობ-  
დი და დავიღალე...

— ბევრს რატომ კითხულობ, გენაცვა-  
ლე! გაწყენს ამდენი კითხვა. შენ ისედაც კარ-  
გი მომზადებული ხარ. რომც არ იყო, მე  
აგერ არა ვარ!.. შენი ვანო... შენი... — და  
ამ სიტყვებით ივან პეტროვიჩმა ნაზათ მოხვია  
ბაბოს ხელეები და გრძნობით გულში ჩაიკრა.

— ახ... რას შერებით?! არა გცხენი-  
ათ?! — მიადახა მას ბაბომ და ხელიდან გა-  
უსხლტა.

— რატომ, რატომ მტანჯავ — ბაბო?!.  
მომკალი, ბარემ და ის იქნება!..

როგორც პატარა ბავში გაბუტული ღვას  
დედის წინ და ყოყმანშია შეურვიდეს მას, თუ  
არა; პაწაწინტელა გული-კი სიყვარულით  
უფეთქს და დედასკენ იწვევს მას, ეს-ეს არის  
ადგილიდან უნდა მოწყდეს და გრძნობით ჩა-  
ეკრას მას გულში, ისე აღელვებული — ფერწა-  
სული ბაბო იღვა ერთ ადგილს გაუნძრევლათ  
და ჩაფიქრებული იატაკს მიჩერებოდა.

— აბა, მითხარი, მითხარი მალე... ნუ-  
ღარ მტანჯავ... მითხარი, ან „ჰო“, ან „არა“,  
ბარემ, გავიგებ ჩემს ბედისწერას და მერ... მე-  
რე...

ოხ! რა ექნა, რა გზას დავადგე...  
მე... მე... არ ვიცი... გიგლა... ღმერთო...

... გიგლა მკვდარია შენთვის... იგი შე-  
ნი ღირსი არ არის. აბა, ერთი მითხარი, სად  
უბრალო მოხელე... და სად შენ, ზეციური  
ანგელოზი...

„გიგლა მკვდარია... გიგლა არ არის ჩემი ღირსი... უბრალო ჩინოვნიკი...--ნაწყვეტ ნაწყვეტათ ბუტბუტებდა ბაბო და გადამეტებული ფიქრებისგან თავბრუ ეხვეოდა.

იგი საბედისწერო წერტილზე იყო შემდგარი და საკმარისი იყო სულ უმნიშვნელო ძალა, რო შეთანწონილება დაეკარგა და გადამტარიყო ამ წერტილიდან. ბაბო ისეთის თვალით შეცქერდა ივან პეტროვიჩს, მასში იმდენი სიყვარული და მისწრაფება გამოიხა-

ტებოდა, რო ბრმა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რო შიგ ვერ ამოეკითხა ის, რაც ასეთ შემთხვევაში ენით ვერ გამოითქმება...

გრძნობამ დაჩრდილა გონება... და გონება-კი გრძნობა... ერთი წამიც... და ორი გატაცებული ადამიანები ადგილიდან მოწყდენ და თრთოლვით ერთიმეორეს გულში ჩაეკრენ.

გ. უბრალოძე.

(შემდეგ იქნება).

## ჟურ. „განთიადის“ კანგორა

მოაგონებს იმ ხელის მომწერთ, რომელთაც სამი თვის ხვედრი ფული აქეთ გამოგზავნილი, შემოიტანონ პირველ აპრილამდი დანარჩენიც, თუ სურთ ჟურნალი მიიღონ შემდეგ თვეებშიაც.

მოაგონებს აგრეთვე წლიურ ხელისმომწერლებსაც, რომელთაც პირველათ ხელის მოწერის დროს გამოგზავნეს 2 მან. 60 კ., პირველ აპრილამდი შემოიტანონ მანათი.

ვთხოვთ, ვისაც ჟურნალის ნუმრები არ მიუღია, გვაცნობოს, რო დაუყოვნებლათ მივაწოდოთ.

### ახლანდელი სოულიათ ევროპის ომი და ეროვნული საკითხი.

ამ ოცი წლის წინათ კარლ კაუცკი წერდა: „გერმანელთა თავგამოდებული მოწინააღმდეგენი არიან ახალგაზდა ჩეხები, ეს გლეხებისა და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენენი. ესენი გერმანული ენის უცოდინარობას ნაციონალურ სიკეთეთ თვლიან. ამ წრისთვის გერმანულ ენაზე ლაპარაკი ეკონომიურ საჭიროებას როდი წარმოადგენს. მანა გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია ხამ მოსასპობათ და გასაქრბათა არიან გამხადებული, ამათთან ერთათ ის ენებაც, რამელსუდაც ესენი ლაპარაკობენ“.\*) ამ რამდენიმე ხნის წინათ ორ-

ტოდოქსები მცირე ეროვნებათ ასეთ „სულთათანა“-ს უმღერდენ. ამ მოძღვრების მიმდევარნიც ყოველგან თავგამოდებით იმ რწმენას, იმ შეხედულებას ავრცელებდენ, რო მცირე ეროვნებათა დღენი სიცოცხლისა დათვლილიაო. ამიტომ პროგრესიული მოაზროვნის ღირსების შემბლალველიაო, თუ ეროვნულ მისწრაფებას, ეროვნულ ზრახვას რაიმე ყურათლება მიაქციაო. ამასვე მტკიცეთ ატარებდენ ცხოვრებაში დიდი სახელმწიფოების უამრავი აგენტებიც და ამათ გაიძვერულ მოქმედებას კვერს უკრავდა კოსმოპოლიტიზმისა და ერთა სოლიდარობის შარავანდელით მოსაგდა ორტოდოქსია. ამ ერთსულოვანი და თითქოს შეთანხმებული გარემოების გამო,

\*) იხ. К. Кауцкий. Очерки и этюды. Национальность нашего времени. стр. 126.

ეროვნულ ზრახვას შავი სუდარა ძალზე ეფინებოდა და არსად ცის ძიღურზე სამედლო წერტილიც არა ჩანდა...

მარა, გამოცხადდა თუ არა სრული-ათ ევროპის ომი, დაიგრიალა თუ არა ყოველი მძრით ზარბაზანმა და ჰაერო-პლანის ყუმბარამ, მცირე ეროვნებათა მაცისკროვნებელი ცაც ერთბაშათ მთლათ გადაიწმინდა. ახლა ორტოდოქსების მოძღვრებაც უკუგდებულ იქნა და იგი საისტორიო მასალას-და თუ წარმოადგენს. დიდი სახელმწიფოების გაიძვერა აგენტების საპირადო მოქმედებაც დაძრახულ დაგაძვებულ იქნა. დღეს დიდი და პატარა იმ ღრმა რწმენით შეიქნა გაჟღენთილი, რომ კაცობრიობის წინსვლა შეუძლებელია, ერთა სოლიდარობა განუხორციელებელი, თუ რომ ყოველი ერის, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი, სამართლიანი მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდა, თუ რომ ეროვნული ზრახვა ყოველი ერისა, დღემდი გულში ღრმათ ჩაკლული და ჩუმათ ცრემლებში ნაბანი, არ გახორციელდა, სინამდვილეთ არ იქცა. დღეს ყოველი პუბლიცისტი და დიდი სახელმწიფოების მეთაურები და მოღვაწენიც ამ დიდი აზრის ჭეშმარიტებას იქნება არა გულწრფელათაც, მარა ცხადათ და აშკარათ აღიარებენ. სხვები რომ არ დავასახელო, სახელდახელოთ სრულებით საკმარისია მოვიგონო, რომ დიდი ბრიტანიის, „ცბიერი ალბიონის“ გარეშე საქმეთა მინისტრმა გრემი ამ ჭეშმარიტების სიმართლე აღიარა და საჯაროთ გააცხადა, რომ ჩვენ გესურს სხვა და სხვა ხაციას შეეძლოს ევროპაში თავისუფლათ და დამოუკიდებლათ იცხოვროს და ამ შემთხვევაში გამონაკლის

პატარა სახელმწიფოებიც არ უნდა შეადგენდნო. ასეთია ჩვენი იდეალიო. აი, ასე ერთბაშათ და უეცრივ შეიცვალა აზრთა მთელი მიმართულება და მსვლელობა ეროვნული საკითხის შესახებ.

პირადათ ჩემთვის მოულოდნელი როდი იყო, რომ ეს ასეც მოხდებოდა, რადგან ცხადათ ვიცოდრი, რომ მე 19 საუკუნე თანდათან, მიყოლით და ნელნელა ამზადებდა ნიადაგს, მცირე ეროვნებათა გამათავისუფლებელს. ამიტომ ეს მომენტი აღრე, თუ გვიან უნდა გამოაშკარავებულიყო და უნდა, უეჭველათ, დამდგარიყო დრო, როცა არსებული ცხოვრების სინამდვილე უნდა დაპირისპირებოდა იმ ფაქტებს, რომ ეროვნული ზრახვა ცხოვრებაშივე ნელნელა, მარა მტკიცეთ მზადდებოდა. ამ ორი მოპირდაპირე მიმართულების შეურთებლობა-კი-მცირე ეროვნებათა, ან საბოლოოთ გაცამტვერება, ან ეროვნებათა სასიცოცხლო აღორძინება—უნდა ცხოვრებაშივე მოსპობილიყო: ან ერთს, ან მეორეს უნდა სამუდამოთ გაემარჯვნა, და ამ ჟამათ ჩვენ ვხედავთ, რომ დადგა დრო, როცა მცირე ეროვნებათა აღორძინების იდეა საბოლოოთ იმარჯვებს. ეს-კი კაცობრიობას ჩაბერს ახალ ძლიერს ძალას შეუჩერებელი გავითარებისა და წინსვლისას...

ჩემ თავს ნებას ვაძლევე, მკითხველს მოვავაგონო ამ დიდი მოვლინების შესახებ მემი აზრი და შეხედულება, რომელიც სხვადასხვა დროს და გარემოებაში მაქვს გამოთქმული მწერლობაში.

1897 წ. ეამბობდი: „რადგან ევროპის საზოგადოებათა ისტორია, 1848 წლიდან დაწყებული, არა თუ მთლათ

ერთიანათ არ ამტკიცებს სიმართლეს „დიპლექტიკური“ მატერიალიზმისას, არამედ ჩვენ ფრიად საგულისხმო და ეკონომიური მატერიალიზმის სრულე-ბით საწინააღმდეგო მოვლენათ ვაძინევთ აქ. მართლაც, ეს მეცხრამეტე საუკუნე ისეთი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში, როცა თავი გამოყვეს პატარა ერებმა და თავისუფლება, და დამოუკიდებლობა მოითხოვეს. მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ურთუნებათა აღმართების ისტორია.\*) 1901 წელს-კი ვამბობდი, რომ მეცხრამეტე საუკუნეში დიდი ვეშაპი სახელმწიფოები დაარსდნენთქო და ესენი განაგებენ მთელი კაცობრიობის სვე-ბედსათქო და ამას შემდეგს ვუმატებდი: „მარა ამან მაინც ვერ მოუსპო ნიადაგი ნაციონალურ სახელმწიფოს. თუ იტყვიოთ, დედა-აზრი ნაციონალური სახელმწიფოსი მეცხრამეტე საუკუნემ შეიმუშავა და წამოაყენა. ეს დედა-აზრი გვასწავლის, რომ სახიფათო არ არის არსებობა მსოფლიო ისეთი სახელმწიფოსისას, რომელიც მარტოაღენ შექმდგანოს ერთი ერისგან. ამ დედა-აზრის განხორციელება იყო საბერძნეთის თავისუფლება, იტალიის დამოუკიდებლობა, ბალკანეთის სახელმწიფოთა დაარსება და უნგარეთის დიდი თავ-განწირული ბრძოლა. და, ჟინ იგას, აქნება წელთა სულამ ამ დედა-აზრს მეტა ძღაერება მო-მოუშვავს, გაძარჯვება შანისკოს“\*\*) იქვე სტატიას ამ სიტყვებით ვათავებ: „ამ განხილვიდან, მგონია ცხადია, რომ მეცხრამეტე საუკუნეს, აწ წასულამ დაუტოვა ანდრძათ, შრატკო-კულათ განხორციელას ნაციონალურ სახელმწიფო-

თა შინაგანა და მუშათ სწავლელი შეუსრულას ცხადებაში ისე, რომ არც ერთსელ არ უმტყუნოს შეცნაერებას და დემოკრატულ შინაგანს.“\*\*)

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ თვრამეტი-თუთხმეტი წლის წინათ, ნათლათ დარწმუნებული ვიყავი, რომ ცირე ეროვნებათა აუტანელი ყოფა-ცხოვრება ადრე, თუ ვვიან სასურველათ შეიცვლებოდა. მაშინ-კი ეს აზრი, როგორც აღვნიშნე, საპაექრო და საკამათო იყო.

ამავე აზრის ბეჯითი სიმტკიცე გარკვეული მაქვს ერთს ჩემ ნაწერში, რომელიც 7 ივლის 1905 წ. არის დამთავრებული, მარა რომელიც მაშინ და არც მას აქით არსად დაბეჭდილა. ამიტომ ამ განმარტებასაც აქ მთლათ მოვიტან: „პატრიოტიზმი წარმოადგენს სიყვარულს სამშობლოსისას, სიყვარულს ერის გათვითცნობიერებულის ადამიანთა კრებულისას, ერთი ერისას. ყოველი ერი პირადობათაგან შედგება. პირადობათა შეერთებული, შეკავშირებული და ცნობიერი მოქმედება-კი არის სამშობლოს საერთო სამსახური. ეს სამსახური უფრო ნაყოფიერია იქ, სადაც პირადობა პოულობს მისი მოღვაწეობის ადგილს და დამხმარე პირობებს. ეს პიროვნებანი-კი ყოველის უწინარეს მონიოვებიან სამშობლოში, რადგან აქ, სამშობლოში პირადობას ხელს უწყობს ენა, ზნე-ჩვეულება და დიდი ხნით შეჩვევა ერთათ მოქმედებისა. ამ გარემოებაში პირადობაც მეტ კმაყოფილებას გრძნობს და ამით იგი უფრო წაქეზებულია სამოღვაწეოთ, სამოქმედოთ. პირადობათა ეს შეერთებული მოქმედება-

\*) იხ. ბ. ს. ფანცხავა. თხზულებანი. გვ. 127—128.

\*\*) იხ. გვ. 202.

\*\*) იხ. გვ. 205—206.

კი ამ პირობაში უმეტეს ნაყოფს გამოიღებს და ერსაც მეტი ბეჯითობითა და სისწრაფით წინ წაწევს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამას მოითხოვს კანონი მექანიკისა: ძალთა უმცირესი დახარჯვით მიაღწიო უმეტეს შედეგს. პირადობა გასაზღვრულ თვისებათა და ძალთა მქონეა. ამიტომ, თუ სურს, უფუნურათ არ გამოიყენოს ეს ძალი, მან ერთი რომელიმე ადგილი უნდა აირჩიოს სამოქმედოთ, სამოღვაწეოთ, რადგან იგი ყოველგან მყოფი როდია. ასეთი ადგილი-კი, უეჭველათ, სამშობლო იქნება.

რამდენათაც უმეტესია წინწაწეულ და გავითარებულ ერთა რიცხვი, მით უფრო ბედნიერია კაცობრიობა, კეთილცხოვრებაც მისი უმჯობესათ არის მოწყობილი. ამიტომ სამშობლოს სამსახური იმავე დროს არის კაცობრიობის სამსახურიც: ეს ორი ცნება ერთი მეორის წინააღმდეგი როდია, არამედ ერთი მეორეს შეიცავს, ერთი მეორის გაფართოვებაა. ამ მოსაზრებით ერთა არსებობა არც ხელის შემშლელია არაფრით საკაცობრიო მისწრაფებაში. პირიქით, ერთა არსებობა ამ მისწრაფების გახორციელებას აადვილებს, მაშასადამე, გვიახლოვებს ამ მისწრაფებას.

სიყვარული, საზოგადოთ, სულიერი მადლია ადამიანისა. ეს მადლი-კი ისე ფართო და ვრცელია, რომ იგი ადვილათ შეიცავს ღმობიერ გრძნობიერებას, არა თუ ერთისადმი, არამედ ბევრისადმიც. ამიტომ სამშობლოს სიყვარულთან კარგათ და ადვილათ თავსდება კაცობრიობის, ან სხვა დანარჩენი ერების სიყვარულიც. სამშობლოს სიყ-

ვარული სრულებით არ მოასწავებს კაცობრიობის სიძულვილს ისე, როგორც საკუთარი თავის სიყვარული არავის გვირის სხვებისადმი ზიზღსა და მძულვარებას, ან, როგორც საკუთარი ოჯახის სიყვარული არავის უხშობს თანაგრძნობასა და სათნო განწყობილებას სხვა ოჯახებთან. სამშობლო მხოლოდ განსაზღვრული და შემოფარგლული ასპარეზია, ზინადობის მიერ მიჩნეული თავის ძალთა ასამუშავებლათ კანონობის საკეთილდღეოთ, ამ ჩემ სიტყვებს დავათავებ ივ. ს. ტურგენევის მკაფიოთ მოჭრილი გამოთქმით: „космополитизмъ чепуха, космополитъ—нуль, хуже нуля; внѣ народности ни художества, ни истины, ни жизни, ничего нѣтъ. Безъ физиономіи нѣтъ даже идеальнаго лица; только пошрое лицо возможно безъ физиономіи“\*). აქვე სავალდებულოთ მიმაჩნია მკითხველს გავაცნო ჩემივე აზრი ნაციონალური საკითხის შესახებ, რომელი აზრიც დაბეჭდილია 1907 წ. და რომელიც ასეა გამოთქმული: „გერმანიის სოციალდემოკრატია სწორეთ მაშინ იშვა, როცა ხალხთა შორის გაჩაღებულმა მიმოსვლამ და წარმოებამ, ასე წოდებული, კოსმოპოლიტიზმი წარმოშობა პოლიტიკური აზროვნების სფეროში. მაშინ, ამ ორმოცდაათი წლის წინათ, გადაჭრით წამდათ, რომ ეს სახალხთაშორისო გახშირებული მიმოსვლა სრულებით გათქვეფდა ერთმანეთში სხვა და სხვა ერებს, მათ არსებობასაც წესს აუგებდა. აი, ეს სრულებით ბურჟუაზული იდეა—კოსმოპოლიტიზმი უკრიტიკოთ, შეუფენებლათ შეითვისა, დოგმათ აღიარა მაშინ სო-

\*) იხ. И. С. Тургеневъ. IV ტ. გვ. 417.

ციალდემოკრატიამ. მარა, ამის მიუხედავთ, იქ, სადაც ერთ სახელმწიფოში სხვა და სხვა უფლებების მქონე ბევრი სხვა და სხვა ერია თავმოყრილი, დოგმამ ვერ დაძლია რეალური ნიადაგი და ამ აშკარა სინამდვილემ ავსტრიაში სოციალდემოკრატია იძულებულყო, ნაციონალური იდნა მიედო და მისთვის შესაფერი პასუხი მიეცა.

ეს გადაჭრილი პასუხი კიდევ გასცა ავსტრიის სოციალდემოკრატთა პარტიეტაგმა, კრებამ, რომელიც მოხდა ამ შვიდი-რვა წლის წინათ, ე. ი., 1899 წ., ბრიუნში. ამ კრებამ ავსტრიის სოციალდემოკრატულ პარტიას სავალდებულოთ დაუსახა და პროგრამაში შეიტახა: ნაციონალური ტერიტორიის მთლიანობა და ნაციონალურ უკუეკვან საქმეთა ავტონომიური მართვა-გამკეობა\*).

აქ მოტანილ ამონაწერებიდან და ამ ამონაწერებში გატარებულ აზრიდან თავისთავათ შემდეგი ცხადათ გამოძინარობს.

მეცხრამეტე საუკუნემ ცხოვრების სიღრმეში ნიადაგი დაუმზადა პატარა ერების აღორძინების დიდ საქმეს. ეს მოვლინება ნელნელა და მიყოლით გავითარდა, თანახმათ არსებული პირობებისა, და გზაგზა, თან სდევდა მეორე ნაირ სოლიდარულ მოვლინებას — ერთა შორის სოლიდარობის გამტკიცებას. ამ ორმა მოვლინებამ-კი მიგვიყვანა იმ შეგნებაში, რო ყოველი ერი, რა გინდ მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, უნდა თვითარსება და თვითმომქმედი შეიქნეს, რომ ამით ამუშავდეს ყოველი

ერის სასიცოცხლო ენერგია კაცთა შორისათნობის დასამყარებლათ. ეს რწმენა კი სრულებით ეთანხმება მეორე გვარსავე რწმენას, რო კაცთა შორისათნობისთვის საჭიროა მოქალაქობრივი სწორ-უფლებიანობა და ეკონომიური თანასწორობა, ე. ი., დემოკრატიზმი. თუ დემოკრატიზმი მოითხოვს მოქალაქობრივს სწორ-უფლებიანობას და ეკონომიურ თანასწორობას, ეს მხოლოთ იმიტომ, რო ქეშმარიტათ მიჩნეულია, რო ყოველი ცალკე და კერძო ადამიანი შეიცავს ძალას, ენერგიას სამოქმედოთ, სამოდვაწეოთ და, ამიტომ საჭიროა, პირადობა, კერძო ადამიანი სწორ-უფლებიანი შეიქნეს და ეკონომიურათ გათანასწორდეს, რო მთელ საზოგადოებაში დაღვივებული სამოქმედო ენერგია ამუშავდეს, გაიშალოს და გაიფურჩქნოს თავისუფლათ, ხელის შეუშლელათ. მხოლოთ ამ გზით შეიძლება, რო საზოგადოებამ ჩქარი ნაბიჯით წინ სვლა განაგრძოს და გავითარებაც მისი მტკიცე და შეუჩერებელი შეიქნება. ასეთი ვითარება-კი მთელი კაცობრიობისთვის არის სასიკეთო და იგი ხალხთა შორის სოლიდარობის იდეალის გახორციელებასაც გვიახლოვებს. ამ გვარივეა და ამავე მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული ეროვნებათა აღორძინების საჭიროებაც, რადგან ამ მოთხოვნის ნამდვილი და რეალური დაკმაყოფილება ერთბაშათ ათავისუფლებს მთელს სასიცოცხლოსა და სამოქმედო ენერგიას, ცალკე ერებში დაგროვილს, და, ეს ენერგია იმავე მიზანს და მხოლოთ მას მოხმარდება, გამოადგება.

ეს ორივე მოთხოვნა და დიდი საჭი-

\*) იხ. ეროვნული საკითხი და ავსტრიის სოციალდემოკრატია. გვ. 4—6.

როება წამოაყენა, გაავითარა და მტკიცე ნიადაგზეც დააყენა მეცხრამეტე საუკუნემ, გახორციელება-კი მან უახდერძა მეოცე საუკუნეს. მართალია ის, რომ ეს ორივე მოთხოვნა ერთსა და იმავე დროს როდი წარმოიშვა. პირველათ გამოაშკარავდა მოქალაქობრივი სწორ-უფლებიანობის საჭიროება. ამას მოყვა ეკონომიური სამართლიანობისა და თანასწორობის აუცილებლობა. ხოლო ბოლოს-კი პატარა ერების აღორძინების იდეამ მოიღვა ფეხი. ასეთ დამზადებულ ნიადაგზე-კი აღმოცენდა საერთაშორისო სოლიდარობის მდიდარი იდეალი. ამ გვარათ, მეცხრამეტე საუკუნემ გამოგვისახა სამი ძირითადი და დიადი იდეალი—დემოკრატიულ ნაციონალური და ინტერნაციონალური და ამ იდეალების გახორციელებას-კი მეოცე საუკუნემ უნდა მოახმაროს მთელი თვისი ძალა და ენერგია.

ისიც ცხადათ ჩანს, რომ მეცხრამეტე საუკუნემ გვიჩვენა ორი გზა ნაციონალური იდეალის გასახორციელებლათ, ეროვნული საკითხის გადასაჭრელათ. ერთი გზა ის არის, როცა მთელი ერი მიჩნეული და გამოცხადებულია დამოუკიდებელ თვით-არსებათ. მეორე გზა-კი ის არის, რომ იმ სახელმწიფოებში, რომელნიც სხვადასხვა ერებს შეიცავენ, მიუცილებლათ საჭიროა, რომ ყოველი ერი თვის ეროვნულ საქმეთ ავტონომიურათ მართავდეს და განაგებდეს. ეს ორი გზა გვიჩვენა მეცხრამეტე საუკუნემ ეროვნული საკითხის გადასაჭრელათ და ამით სამუდამოთ უარყო ძველი ოსმალური პოლიტიკა ერთა გათქვეფისა და ერთი ერის მეორეთ და-

ლათ გარდაქმნისა. აგრეთვე რომელღების ცბიერი პოლიტიკა, რომელიც დამყარებული იყო ერთი ერის მეორეს მიერ მოტყუილებასა და გაუტანლობაზე. მოკლეთ ამ გაიძვერა პოლიტიკის შინაარსი-კი ასე გამოითქმოდა: *divideet impera*.

თუ კი ეს, რაც ზევით ვთქვი, ასეა, მაშინ იძულებული ვართ, თანამედროვე სრულიათ ევროპის ომის თვისება, ღირსება და ნაკლულევანება განვიხილოთ ისტორიის მიერ ამ შემუშავებული თვადი საზრისით.

ამ ომის მნიშვნელობა რომ დავაფასოთ და მისი შედეგიც დაახლოვებით გავითვალისწინოთ, სრულებით საჭირო არ არის, გამოვიძიოთ, თუ ვინ დაიწყო, ვინ ითავა ეს ომი. ამ კითხვას ახლა ვერც გავარკვევთ. ამის დრო შემდეგში დადგება და მომავალი ისტორია გავარკვევს, რადგან მაშინ მასალაც მეტი, უტყუარი და ყოველმხრივი ისტორიკოსის ხელთ იქნება, რომელიც ამიტომ დასკვნასაც უტყუარს გამოიტანს. ჩვენთვის ამ ჟამათ არც ის არის საჭირო, ვიცოდეთ, თუ რა მიზეზმა, გარემოებამა და ვითარებამ წარმოშვა ეს ომი. ჩვენთვის სულ ერთია, მივიღებთ, თუ არა აზრს ზოგისას, რომელნიც ფიქრობენ, რომ ომი გერმანიის გადაჭარბებულმა მილიტარიზმმა გამოიწვიაო; ან შეხედულებას ინგლისელი სოციალისტის გაიდმანისას, რომელიც გონებს, რომ ამ ომის უმთავრესი მიზეზი გერმანიის იუნკოებისა და აგარარების ძირითადი მისწრაფებანიო; ან მოსაზრებას კარლ კაუცკისას, რომელიც გვამცნებს, რომ ახლანდელი ომი გამოწვეულია იმ იპერატივით, რომ გერმანიის მრეწველო-



ბა ძალზე გავითარდა. ამიტომ ეს მრეწველობა თვის ქერქში ვეღარ ვტყუვ და მოითხოვს, სავაჭრო ბაზრათ გადააქციოს ის ადგილები, სადაც მრეწველობა არ არის გავითარებულიო. როგორც ვაჩნნევთ, არცერთი ეს შეხედულება ჩვენთვის ამ ჟამათ გამოსადეგი არ არის, რადგან საკითხი ის-კი არ არის, რამ გამოიწვია ომი, ვინ, ან რამ გადახარა სასწორი და ამით ძალთა შეთანწონილება დაარღვია. ეს საკითხი ჩვენთვის საგულისხმო როდია ამ ჟამათ, რადგან კარგათ ვიცით, რომ ომის მიზეზი, მართლაც, ან ერთი, ან მეორე, ან მესამე გარემოება იყო. მარა თვით ომის თვისება, ზასიათი და არსება ამით მაინც არ განიზომება. ომის ეს მხარეები მხოლოდ თვით ომის წარმოების დროსა და ამ ომის შედეგების მიხედვით გამოირკვევა, გამოიხილება. კარგათ ვიცით, რო ჯვაროსანთა ომის გამომწვევი მიზეზი სხვა იყო, შედეგი-კი ამ ომს სხვა მოყვა და სწორეთ ამ შედეგით განიზომება მთელი ძალა და მნიშვნელობაც ამ ომებისა. ჯვაროსანთ უნდოდათ, ქრისტეს საფლავი გაეთაჟისუფლებიანთ მამადიანობისგან. ნამდვილათ-კი იმას მიაღწიეს, რომ არაბების მეცნიერება შეითვისეს და არაბებისვე მეოხებით ძველი ქვეყნების—საბერძნეთისა და რომაელების კულტურა გაიცვენეს. ამ ორმა გარემოებამ-კი ჯერ ფეხი აადგმევინა ევროპაში ნამდვილ მეცნიერებს და მერე-კი აღორძინების ხანა გამოიწვია. ასეა სწორეთ ახლაც, სრულიათ ევროპის ომის შესახებაც. ამიტომ ჩვენი მიზანია, შევიგნოთ ამ ომის თვით ცხადი თვისება და მინიჭებული ნიშნობლივი

ზასიათი, რამდენათაც ეს გამოაშკარავდა თვით ომის წარმოების განმავლობაში, უტყუარ ფაქტებში, თვით სინამდვილის სიღრმეში. მაშ, მივყვეთ მას სრული სულდათქმით.

ომი გამოუცხადა დიდმა და ძლიერმა სახელმწიფომ ავსტრი-უნგარეთმა პატარა სერბიას. ეს ერთი ფაქტიც-კი თავის თავათ ამბობს, რო დიდი და ძლიერი, თუ-კი მოერია და დასძლია პატარა, ამით ვითომც იგი შელახულ სიმართლეს აღადგენს. აქ არც სულ-გრძელობის ნასახია, არც ადამიანის სიცოცხლის დაფასებაა. აქ ცხადათ ის გამოდის, რო დღეის იქით ძრწოდეთ პატარა და უმწეო ერნო დიდის წინაშე, ვინაიდან უკანასკნელს სრულებით უბასუხისმგებლოთ შეუძლია გაგაცამტვეროს, სულ უბრალო საბაბის მომიზეზებით, როცა და, სადაც მოესურვება. სად არის აქ ნატამალიც-კი პირადობისადმი პატივისცემისა, ან პატარა ერის უფლების აღსარებისა?! ამ ნამდვილ ფაქტს ახლა მეორე უტყუარივე ფაქტი მივუმატოთ. გერმანიამ, დიდმა და ძლიერ-მოსილმა, როდი ინება, როდი ისურვა, ავსტრი-უნგარეთის ეს უმართებულო საქციელი გაეკიცხა და დაეგმო, როდი შეაჩერა ავსტრი-უნგარეთის გადასადგმელათ გამზადებული საბედისწერო ნაბიჯი. პირიქით, გერმანიამაც ამ სამარცხვინო საქციელს კვერი დაკრა და ბელგია, ეს პატარა და დამოუკიდებელი ერი, მარა ამავე დროს უაღრესათ გავითარებული და თვის უფლებათა ღრმათ შეგნებული,—გადათელა, ლიუქსენბურგზე-კი გზათ გაიარა... ამ სამარცხვინო საქციელის მისაფუჭჩებლათ-კი გერმანიამ ლიუქსენბურგს ფუ-

ლი გადასცა და ამით საქვეყნოთ დიდი და თაღლითი თვალთქმაცობა ჩაიდინა.

ეს ბინძური თვალთქმაცობა-კი იმაში გამოიხატება, რო, რაკი ფული გაიღო, ამით უნდა მიადინოს ჩვენი გრძნობა სამართლიანობისა და უტიფრათ გვეუბნება, რო მე არვის უფლება დამირღვევიაო. პირიქით, ეს უფლება სამართლიანი შეთანხმებით მომიპოვებია, სწორეთ ისე, როგორც მსუნგამა ვინმე მეძავმა უბიწოს ნამუსი ახადოს და მეგრე-კი ზიზილპიპილები საჩუქრათ მისთავაზოს მას. აშკარაა ყველასთვის, ვისაც-კი სათნოებისა და ზეოზბრივი სიფაქიზის ნატამალიც შერჩენია, რო გერმანიის ეს საქციელი ბინძურია და ცინიკური.

ყოველივე ესე-კი იმიტომ ჩაიდინა გერმანიამ, რო საფრანგეთი ერთი თვალის დახამხამებაში თვის ფერხთა ქვეშე სამარცხენოთ გაერთხმია. ეს ფაქტებიც, გერმანიის მიერ ჩადენილი, ცხადათ ამბობს, რომ აქ პატარა ერის უფლება და პატივი არ არის აღსარებული და მიჩნეული. აქ ნამუს ახდილი ვაჭრობა, ან ძალ-მომრებაა გაბატონებული. ესე ყოველი-კი თავის თავათ მეტყველებს, რო გერმანია და ავსტრი-უნგარეთი პატარა ერების უფლების წინააღმდეგ ამხედრდენ. არც ერთი და არც მეორე ამ ერების უფლებას ანგარიშს არ უწევენ. ამით-კი ისინი ისტორიის მსვლელობის წინააღმდეგ მიდიან, როგორც ეს ზევითაც გავარკვევიეთ, და სურთ, ისტორიის ჩარხის ტრიალი თვის სასარგებლოთ მოატრიალონ, ისტორიის ჩარხის ბორბალი

მეორე საწინააღმდეგო მხრით შეატრი-ალონ და ამით პატარა ერებს გადაჭრით უთხრეს: „ხალხთა შორის არ გაქვთ ბინა, უნდა იყოთ უენოო.“..

მარა ისტორია გვასწავლის, რო დაუსჯელი არ დარჩება ის, ვინც ვწინააღმდეგება ისტორიის ბეჯითსა და მტკიცე მსვეულობას, მიმდინარობას. მისი ბოლო კატასტროფით გათავებულა. სანამ ნაპოლენონ პირველი პატარა ერებს იპყრობდა იმ მიზნით, რომ ამ ერების მიენიჭებია მოქალაქობრივი სწორ-უფლებიანობა და, სანამ იგი საფრანგეთის თვითარსებობას იცავდა ძლიერი კოალიციის წინააღმდეგ, ნაპოლენონც უძლეველი იყო. მარა, როცა ნაპოლენონმა მოინდომა სხვა ერების გათოკვა და ეს ერები თვის თვითნებობასა და პირათ ანგარეებას დაუმორჩილა, ნაპოლენონის ბედიც იმ წუთში გადაწყდა და ისიც ჭიქის შუშასავით დაიმსხვრა. აქ, ამ ხანათ ნაპოლენონი გადაუდგა ისტორიის მიერ მიჩნეულ გზას და იგი დაამარცხა რეაქციამ, რომლის სულის ჩამდგმელი იყო ეს კოალიცია, რადგან ეს უკანასკნელი ხელთ ეპყრო არისტოკრატის, ფეოდალური მისწრაფებით გატაცებულს, და ემიგრანტებს, რომელიც იმავე „სულის პოტინით“ იყვენ შეპყრობილი. ეს ორივე რეაქციონური მისწრაფება ისტორიის მიმდინარობის საწინააღმდეგო იყო. ამიტომ ორში ერთმა უფრო ძლიერმა გაიმარჯვა. გამარჯვებულმა რეაქციამ, „საღმართო კავშირით“ მტკიცეთ შეკრულმა, მოიხდომა სრულებით დაეძლია პროგრესიული მსვლელობა ისტორიისა, სწორ-უფლებიანობის გახორციელება... მარა ამ ძლიერმა კავშირმა-კი მხოლოთ

დროებით შეაჩერა ისტორიის ეს ჩარხის ტრიალი და მალე მაინც გაიმარჯვა სწორ-უფლებიანობის პრინციპმა და „საღმრთო კავშირმა“ საშინელი კატასტროფით დალია სული...

ამ მტკიცე რწმენით თუ აღვიჭურვებით, მაშინ ცხადია, რომ ავსტი-უნგარეთისა და გერმანიის დღეინდელი მოქმედება დიდი და სამარცხვინო კატასტროფით უნდა დაბოლოვდეს, რადგან ეს მოქმედება ეწინააღმდეგება ისტორიის ნამდვილ მსვლელობას. თუმცა შეიძლება ეს მოქმედება ტიტანიური რამ იყოს და ამიტომ აფექტის ამყოლ ადამიანში დიდ ჩაბეჭდილებასაც იწვევდეს, თვალსა სჭირდეს.

ხოლო ამავე დროს ისტორიის მტკიცე ნიადაგზე დგას სამთა შეთანხმება და იგი ახორციელებს ისტორიის მიუცილებელ მოთხოვნილებას, რადგან ეს შეთანხმება ამტკიცებს და იცავს იმას, რასაც ებძვის და არღვევს ორთა კავშირი. ამიტომაც, ამ ომმა ყოველი პატარა ერი აღაფრთოვანა, სასოება და იმედი მოფინა მის გულში ღრმად ჩაკლულ ზრახვას. ეს ზრახვა დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი. ამიტომაც პატარა ერებიც სრული თავ-განწირულებით ჩაერიენ ამ ომში, რომ თვისი მცირე ძალ-ღონით ადრინათ გაახორციელონ ეს თვისი ყოფისა და არ-ყოფის სანუკველი მისწრაფება. ამიტომ დღეს ყოველი პატარა ერი, ამ ერის ყოველი შეგნებული პირადობა გულ-წრფელად და მხნეთ უნდა განისმკვალოს ამ რწმენით, ამ იმედით და თვისი გათვითცნობიერებული და შეთანხმებული მოქმედებით

ამ გზას დაადგეს, ამ მხრით აამოქმედოს ყოველი თვისი ფიზიკური, მორალური და გონებრივი ძალა. ამიტომაც, მთელი განათლებული ერების დემოკრატიაც ამ სამთა კავშირს ემხრობა, სწამს რა, რომ ეს სამთა კავშირი თვისი მოქმედებით ახორციელებს სწორ-უფლებიანობისა და ეკონომიური თანასწორობის პრინციპს და ნაციონალურ იდეალს. ამით-კი მტკიცე ნიადაგს უმზადებს ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეალს. პატარა ერებისა და მთელი განათლებული ერების დემოკრატიის ეს მტკიცე კავშირი-კი უტყუარი თავდებია, რომ ამ ხანათ ვერავითარი ძალა ვეღარ გადაახვევინებს ისტორიის ასეთს მსვლელობას.

ამიტომ ამ ომმა ჩვენთვის, ქართველებისთვის, პრაქტიკული საკითხი წამოაყენა. ამ საკითხის ასეთი, თუ ისეთი გადაწყვეტა თავის თავათ გამომდინარობს ზევით გატარებულ აზრიდან და ომის ხასიათის ანალიზიდან. ჩვენმა ერმაც ალღო აუღო ომის ამგვარ მნიშვნელობას და იგიც თვისი ძალ-ღონით უყოყმანოდ გულ-მოდგინეთ ისწრაფის, ეს ომი სამთა კავშირის სასარგებლოდ დაბოლოვდეს. ამით-კი ჩვენმა ერმა ცხადათ დაამტკიცა თვისი გონიერება და მან კარგათ შეიგნო მის გარეშემო ამტყდარი დიდი საისტორიო მომენტი. ჩვენც ვალდებული ვართ ამ გზას მტკიცეთ დავადგეთ, რადგან სრული და ღრმა რწმენა უნდა გვქონდეს, რა ღვაწლიცა ამის უტყუარად და უცვლელად შედეგი იქნება დემოკრატიული ეროვნული იდეალების გამტკიცება. „ამ აზრის გულთა დანერგვით“-კი შეგვიძლია პოეტთან ერთად თამამათაც ვთქვათ:

„მარა ცრემლი... საქმის დროა!..  
„სხვერპლი გვინდა და ზვარაკი...“  
ა.კ. ფანცხვა.

# კ რ ი ტ ი კ ა

ჭკვი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე.  
დაქსნაწაულებზე 9 ივნისი, 1889 წელს.  
(დასასრული)

იმ გაცხარებული მითქმა-მოთქმის გამო, რომელიც გამოიწვია ჩვენს ინტელიგენციაში, უპირატესათ ქართველ ინტელიგენციაში, — ჩემმა უკანასკნელმა ფელეტონმა, რომელიც თ. თ. აკ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძის დახასიათებას შეეხებოდა, მე იძულებული ვარ წარმოვუდგინო მკითხველს ზოგიერთი დამატებითი განმარტება. თავის თავათ იგულისხმება, რომ მე სრულიათ არ შევეხები საკითხის იმ მხარეს, რომელიც ამ მწერალთა ნიჭის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს ეხება. ამის შესახებ მე გარკვეულათ გამოვთქვი ჩემ მიერ შემუშავებული შეხედულება და მეტს ვერაფერსაც დავუმატებ აკ. იმის მტკიცებას მე ახლა არ შევუდგები, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამისთვის დამკირდებოდა ორივე პოეტის ღექსების დაწვრილებითი განხილვა და ციტატების მოტანაც ქართულ ენაზე, რაც არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს „ნოვოე ობოზრენიეს“ს მკითხველებისთვის, — და, მეორე იმიტომაც, რომ ამ ჩემს შეხედულებას ჩვენში სერიოზულათ არავინ აბათილებს, გარდა თვით პოეტებისა, რომელნიც თავის საკუთარ საქმეში მსაჯულებათ ვერ გამოდგებიან. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ისინი, როგორც ამბობენ, სასტიკათ არიან, თურმე, ნაწყენი ჩემზე იმ თავხედობისთვის, რომელიც მე მათი დაფასებით ჩავიღინე. მარა ამ ნაღველს არაფერი ეშველება. დიდი ხანია ცნობილია, რომ, ქართული ანდაზის თქმის არ იყოს, „მართლის მოქმელს ცხენი შევაზმული უნდა ყავდესო“. რასაკვირველია, მე უღიდესი ცოდვა ჩავიღინე, როდესაც ერთი მხოლოდ პუშკინს შევადარე და მეორე-მხოლოდ ნეკრასოვს: მე ხატზე უნდა დამეფი-

ცებია, რომ ისინი ორივე მაღლა დვას გოგოლ-ზედაც, სერვანტესზედაც და შექსპირზედაც, ყველა რომ შევაერთოთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სასიკვდილოთ ვაწყენებდი ორივეს, რადგან ყოველ მათგანს ეგონებოდა, რომ „სხვასთან“ შედარება ჩემი შეურაცხმყოფელიაო. ხუმრობა იქით იყოს, და მე არავითარი სურვილი არა მაქვს ამ წვრილმანებში ხელი ვუწყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი სახეებით დაადანატურებს ჩემი კრიტიკული შეხედულების სისწორეს და მიუდგომლობას. ამიტომ ლაპარაკიც არა მსურს ამ საგნის შესახებ. და, თუ მაინც ვუბრუნდები ჩემი ფელეტონის სიუჟეტს და არა მის საბაშს, ეს სულ სხვა მიზეზით.

ერთი ჩვენი უნიკიერესი ჟურნალისტთაგანი, ჩემ მიერ წამოყენებულ საკითხზე მსჯელობის დროს „ტიფ. ლის.“ — ში, მეტის მეტათ ორქოფულ მდგომარეობაში ჩავარდა. თუმცა მან თითქმის ზეცაში აიყვანა ქებით ჩემი ფელეტონი, მარა ერთი ნაკლი მაინც მოუწახა მას: ბ. ნიკოლაძეს არ ესმის, რომ ტალანტისა და შრომის ერთად მოთაყვება შეუძლებელიაო. ნამდვილათ — კი, როგორც „ნოვოე ობოზრენიეს“ს მკითხველებს ემახსოვრებათ, ის აზრი, რომ ტალანტი და შრომა ერთმანეთთან თავსდებათ, რომ, თუ არ იზრომებ თავის გასაღით თარებლათ, ისე ტალანტს ფატალურის ძალით დაშრეტა და უკვალოთ გაქრობა მოელოს, — შეადგენდა ჩემი ფელეტონის საფუძველსაც, აღფასაც და ომეგასაც. და, თუ ამ ფელეტონის საფუძველი არ იყო სწორი, თუ მისი მთავარი აზრი ყალბი იყო, თუ გინდა მომკალით, მაინც არ მესმის, საიდან მოეწონებოდა ფელეტონი მის აპოლოგისტს, და რა უფლებით აქებდა იგი მას. მე იმდენათვე ვუფროხილდები ჩემს კრიტიკულ მოსაზრებებს თავ. აკ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძის ტალანტისა და მოღვაწეობის შესახებ, როგორც შარშანდელ თოვლს. მე ამის შესახებ გამოვთქვი ის, რასაც ვფიქრობდი, რასაც ჩემი გემოვნება, ჩემი ჩვეული აზროვნება მიკარნახებდა. რასაკვირველია, შესაძლებელია მე ვცთვებოდე, და, თუ გამოჩნდება კრიტიკოსი, რომელიც დამტკიცებს,

ან დაამყარებს უფრო სწორ შეხედულებას ამ საკანზე, დამერწმუნეთ, მე პირველათ ვაეჩხარებ გულწრფელათ. მარა ჩემი ფელეტონის უმთავრესს აზრს მე სრულიად არ ვეკიდები ასე გულგრილათ. ის უღრმესით ძვირფასია ჩემთვის, მიტომ რა. მას ვუყურებ, როგორც ჩემი სამშობლოს ვაფთარებისა და კეთილ დღეობის თავდებს, თავდებს მომავალში მისი სულიერი ძალების სრულ აყვავებისას და კეთილდღეობისას. ჩვენი ქვეყნის ბედი იოტის ოდენათაც არ იცვლება იმით, თუ ვინ, როგორი შეხედულების იქნება თავ. აკ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძის ნიჭზე, ან ვინ, როგორი აზრის იქნება ბ-ნ ნიკოლაძის კრიტიკულ შორს გაშქვრეტელობაზე. მარა, თუ, როგორ წარმოდგენას შეგაგონებენ ახალ თაობას შრომაზე, სწორს, თუ უკუღმართს, — ამას, დამერწმუნეთ, პირდაპირ და არსებითად არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის აწინდელი ბედ-იღბალი. აი, რატომ, მიუხედავთ იმისა, რომ მე არავითარი სურვილი არა მაქვს კამათსა და პოლემიკაში ჩაგება, — იძულებული ვარ სათანადო წინააღმდეგობა ვაგუწოთ იმ გზადაბნეულობას, რომელსაც შეუძლია არა ერთი ჩვენი ნიჭიერი ადამიანის გარყვნა და მისი ნიჭის დაშრეტა....

მე ვსარგებლობდი მგოსანის აკაკი წერეთლის პიროვნებისადმი მიმართული საერთო ინტერესით, რომელიც დაბადა მიხეილის სახელობის საადგილმამულო ბანკის საერთო კრების გადაწყვეტილებამ, რომ პოეტისთვის დაენიშნათ მუდმივი პენსია, — და ვისარგებლე არა, როგორც კრიტიკოსმა, არამედ, როგორც პუბლიცისტმა. კრიტიკა მე მოვიხმარე იმდენათ, რამდენათაც ეს პუბლიცისტისთვის იყო საჭირო. თავ. აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პიროვნებით მე ვსარგებლობდი, როგორც ცოცხალი მაგალითით, როგორც ლურსმნებით, რომ ზედ მეტათ ერთხელ კიდევ ჩამეჭედა ჩვენი ახალგაზდობისთვის თავში ნდობა და პატრიცისტმა შრომის, მეცნიერებისა და თვით-ვაფთარებისადმი. მე ბოროტ მოქმედათ ჩავთვლიდი თავს, რომ თვით მართალი საქმის

ინტერესის, თვით წმიდა იდეის გამოც-კი, ცოცხალი მაინც მელალატებია ჭეშმარიტებისთვის ხსენებულ მგოსანთა კრიტიკულ დაფასების დროს: ეს იქნებოდა, ჭეშმარიტათ, „ბევრათ უარესი, ვიდრე ბოროტ მოქმედება, ეს იქნებოდა შეცთომა“. ასეთ შეცთომას არ ჩაიდენს ადამიანი, „მტკიცე გონებასა და სრულ მხსიერებაში მყოფი“, ადამიანი, რომელსაც წარმოდგენა აქვს ლიტერატურის ისტორიის უფლებასა და განჩინებებზე. ეს ხომ ინსინუაცია არ არის მწერლის მოღვაწეობის საპირადო ხასიათის შესახებ, ეს ხომ მის სულში ხელლების ფათური არ არის, — რითაც დაუსჯელათ შეუძლიათ ვარჯიშობა ჭკუა-ნაკლებ, უსუფთაო ადამიანებს, — არა, ეს არის მსჯელობა იმ სალიტერატურო ნაწარმოებთა ფორმისა და შინაარსის შესახებ, რომელნიც კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიის მიერ უნდა იქნენ განსჯილი. მე აუცილებლათ მიმანდა, რამდენათაც შესაძლებელია, უფრო ნათლათ გამეფითარებია ეს ჩემი მთავარი აზრი სწორეთ იმიტომ. რომ არა გუშინდელი დღის აქით ვწუხვარ მე გულით იმ უთაურობის გამო, რომლითაც ჩვენში იფლანგება და იხშვება ჩვენი საზოგადოების საუკეთესო, ყველაზე მეტათ დაჯილდოვებული ნაწილის ნიჭი. ეს მოვლინება სრულიაბ არ არის შემთხვევითი, არც ჯგუფობრივი, არამედ საფესვით სისტემატიურია და საყოველთაო. მას ღრმათ აქვს გადგმული ფესვები თვით ჩვენსა და საერთოთ რუსეთის ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში. ეს ბოროტება ნაყოფია იმ გარდაშავალი ხანისა, რომელიც არ განგვიცდია ჩვენ ჯერ კიდევ საფესვით. თავის დროზე მისი აცილება შეუძლებელიც იყო და, რადგან საკმაო წინააღმდეგობა არსათ შეხვედრია, ვანაგრძობდა ზრდას, მიუხედავთ იმისა, რომ შეცვლილ პირობებს ხელი უნდა შეეწყათ მისი გაქრობისთვის. უფრო გარკვეულათ მოგასხსენებთ: ორმოცდაათიან წლების მიწურულში, ყირიმის ომის შემდეგ, როდესაც, გარეშე დამარცხებით გამოწვეული ჩაბეჭდილების გავლენით, რუსეთი განახლების დამხსნელმა ცხელებამ შეიპყრო, ადვილი გასა-

გებია, როცხვრების მოძველებული წეს-რიგის და ფორმების მსხვერვეთ გამოწვეულ სარსებო მუშაობის შუა ცეცხლში ქვეყნის გონებრივ ძალებს არ სცალოდათ დამწვიდებულ კაბინეტური მუშაობისთვის თავის გასანათლებლათ და გასავითარებლათ. ასეთ ეპოქებში საზოგადოებას სჭირდება მთელი იმ ნაღდა ძალების დატრიალება, რომელიც მას მოეპოება, სულერთია, კარგი არიან ისინი, თუ ავი; საცხვებით არიან გავითარებული, თუ არა. ხალხური ომების და საერთო უბედურების დროს, ადვილი გასაგებია მაღლა-მაღლა ფრენისთვის არავის ცხელა. აი, სწორეთ ამ დროს, თვით კეთილ სინდისიერ და დინჯ მწერლებსაც წამოცთებოდათ, რომ ახლა სწავლის დრო არ არის. ახლა საქმის გაკეთებაა საქირო, ახლავე უნდა ჩავებათ ბრძოლაში ისე, რომ ერთი წუთიც არ დაგვეკარგოსო.

ღმერთმა დაგვიფაროს და — ხვალ რომ, ან ხალხური ომი, ან რამე ამგვარი ატყდეს, მე თვითონ დავიწყებდი იმის ქადაგებას, რო სამშობლოს სამსახური ჩვენგან თხოულობს წიგნების, ხელოვნების და მხატვრობისთვის მიწებებას და სამსახურს ყველა იმითი, რაც ამ წუთში მოგვეპოება, თუ გინდ ცალიერი ხელეებით მეთქი.

მარა, შემდეგ გარემოება შეიცვალა.. სხვა მწერლები, რომელიც პირველთვერ შეედრებოდენ, შექანიკურათ იმეორებდენ სხვების ანდერძს, — და შეპყრობილნი არაბუნებრივი სურვილით სიცოცხლისკენ იმის გამოწვევისა, რასაც ადამიანის ნება ვერ გამოიწვევს, ირწმუნებოდენ, რო საზოგადოათ სწავლა არ არის სჭირო, რომ ახალგაზღობამ ისედაც საკმაოთ ბევრი იცისო. რამდენიმე თაობა ჩვენში — არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთშიაც — ილაჯ-გაწყვეტილი და „უნაყოფო“ შეიქნა, სწორეთ იმის გამო, რომ ამ მოძღვრებას დაემორჩილა. და დაემორჩილენ ისინი ამ მოძღვრებას, უმთავრესათ, იმიტომ, რომ ის სავსებით, ეთვისება ადამიანის ბუნების თანდაყოლილ მიდრეკილებას სიზარმაცისკენ. ის აკანონებდა თვით გავითარებისთვის საჭირო შრომის, მუსყაი-

თობისა და სხვერპლის გაუქმებას, ის უნერგავდა ახალ თაობას საკუთარი უმეცრებით თავმომწონობას: შეიძლებაოდა უმეცარი ყოფილიყავი და თვისი „გავითარებით“ გემაყებია. ამისთვის საკმაო იყო მიგეთითეზიათ ერთადერთ წაკითხულ ბროშიურაზე, ან სტატიაზე სწავლის უნაყოფობის შესახებ. ყოველ ექვს გარეშეა, რომ ამ მოძღვრებასა და იმას შორის, რომელიც წამოისროლა „ტიფ. ლის.“ — ში ჩემმა მაქებარმა, იმის შესახებ, თითქოს ტალანტი და შრომა ერთმანეთთან არ თავსდებოდენ, არავითარი საერთო, არავითარი ორგანიული კავშირი არ არის. მარა ეს სრულიათაც არ ამტკიცებს, რომ ორივე ეს „მოძღვრება“ ერთნაირათ უსაფუძვლო და დამღუბველი არ იყოს ჩვენი ახალგაზდა თანამემამულეთათვის.

მე არ ვიცი, რავგარი ნდობით არის აღჭურვილი ახალთაობის თვალში „ტიფ. ლის.“ — ი და ჩემი ამაშფოთებელი სტატიის ავტორი. მარა მე უნდა წარმოვიდგინო, რომ ახალგაზღობიდან ვინმე მაინც კითხულობს მას და ჯერა მისი. როცა ამას წარმოვიდგენ, მე შემდეგი კითხვა უნდა მივცე თავს: რა იფიქროს იმ ქაბუკმა, რომელმაც ეს ფრაზა ამოიკითხა შრომის და ტალანტის ერთმანეთთან მოუთავსებლობის შესახებ. ადვილი ასახსნელია, რო მასში დაიბადება მაცოთური ფიქრი — რომელიც ყოველი ადამიანისთვის მისატყეველია — ფიქრი, რომ ის ილიოტი კი არ არის, არამედ ნიჭიერი ადამიანი. სხვანაირათ არც შეიძლება მოხდეს, იმიტომ, რო სრულიათ უნიკო ადამიანი ქვეყნათ ისევე ცოტაა, როგორც უკიდურესი კრიტინები. ყოველი მომაკვდავი დაჯილდოებულია ღვთისგან ამა, თუ იმ ტალანტით, ან ტალანტის ნასახით. აქიდან მხოლოთ ერთი ნაბიჯილა იმ რწმენამდი, რომ არც სწავლა, არც შრომა, არც მეცნიერებაზე თავის ტება, არც ნებისა და ხასიათის შემუშავების მონდომება, არც მისწრაფება თვისი თავის ალაგვისა და სხვისი უფლებისა და ინტერესების სამართლიან შეწყნარებისკენ — სრულიათაც არ არის იმისთვის საჭირო: ყველაფერი ეს უნი-

ქო ადამიანების საქმეა. მხოლოდ მათთვის იწერება კანონები, ჩვენთვის, ტალანტებისთვის, ჩვენთვის, ღვთიურ ნიჭით აღბეჭდილ ადამიანებისთვის, კანონები არ იწერება. ცოდნა, ერთკა, ნება, ვაშკაცობა ჩვენ თავისით ჩაგვივარდება პირში, შემწვარი ხობხებივით.

ჩვენთვის ისიც საკმარისია, თუ ფეხებ აშვერილი წამოვწვებით ტანტზე, ჩვენ ცხვირის წვერს ვუჭვრეტთ და დროგამოშვებით ხელს გადავისვამთ დევკმირულ გულმკერდზე.

აღმაფრენა თავისით ჩამოგვიფრინდება და ჩვენც მაშინ ვაუწყებთ ხალხს თვით ჩვენთვისვე გაუგებარი ქეშმარიტების სიტყვებს. რა ვუყოთ, მერე, თუ ამ აღმაფრენის გავლენით, ჩვენ დღეს ერთს ვიტყვი, ხვალ—მეორეს, და არა ერთხელ გამოვთქვამთ წმიდა, მარა საყოველთაოდ ცნობილ ქეშმარიტებასთან ერთად, სრულ აბდა უბდასაც? თვისი აზრების დამუშავება, მათი შეფარდება სხვების აზრებთან, იმის ცოდნა, თუ რა იყო ჩვენამდღე და, რა იქნება ჩვენს შემდეგ, განა ეს ჩვენი საქმეა, ტალანტების საქმე? ეს იმ უნიკო ადამიანებისთვის არის საჭირო, რომელთაც თვით ბუნების მიერ აქვთ მისჯილი ტექტიურა საქმე, შრომა. ჩვენთვის, აზრისა და ტალანტის არისტოკრატებისთვის-კი, ყველაფერი ეს სრულიად სასარგებლო არ არის..

ამ მოძღვრებას ბევრი რამ უქადის გამარჯვებას, სწორედ იმიტომ, რომ ის ულოლიავეებს ბავშვის ბუნებას, ულოლიავეებს ჭაბუკის წვრილმან თავმოყვარობას, ულოლიავეებს მის თანდაყოლილ მიდრეკილებას სიზარმაცისკენ. ქართველ საზოგადოებაში-კი, რომელიც, საზოგადოდ, აღმოსავლეთური ნებიერობის დიდი მოყვარულია, ამგვარი თესლი გამზადებულ ნიადაგს პოულობს...

არა, ეს უდიდესი სიცრუევა, რომელიც მხოლოდ საგნის სრული უცოდინარობის გამო შეიძლება ეპატიოს ვინმეს, —თითქოს ტალანტი და შრომა ერთად არ თავსებობდნენ შექსპირი, გიოთე, ბაირონი, სერვანტესი და სხვ. იყვენ, არა მარტო ტალანტები, არამედ ნამდვილი გენიოსებიც. მარა გენიოსება სრუ-

ლიათაც არ უშლიდა მათ, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეშრომათ და ეღვაწათ თვისი საკუთარი გავითარებისთვის და, არა თუ გათანასწორებოდნენ, არამედ უფრო მაღლა დამდგარიყვენ თვისი ეპოქის უგანათლებულეს დიდ ადამიანებზედაც-კი. ისინი, ეს გენიოსები, თვისი საკუთარი ცხვირიდან-კი არ ჩხრეკდნენ თვის აზრებს და ქმნილებებს, არამედ კაცობრიობის ცოდნის საერთო საღაროდან, მიტომ, რომ მათ კარგათ ესმოდათ, რომ წინ მხოლოდ იმას წასწევ, რასაც საფუძვლიანათ იცნობ, რაც ყოველი მხრით შეთვისებული გაქვს. რამდენათ უფრო ძლიერია ტალანტი, რამდენათაც უფრო ღრმაა გრძნობა-გონება, იმდენათ უფრო დიდხანს ცოცხლობს მათში ცნობისმოყვარობა, გამჭრანხობა, ბუნების საიდუმლოებათა განსჭვრეტის წყურვილი. ყოველი ცოცხალი ბუნების ადამიანის, ყოველი ორიგინალური ქუჩის ეს თანდაყოლილი თვისებაა, შრომის და გამრჯელობისკენ რომ მიიწევს ტალანტს. მხოლოდ ხელოვნურათ შეთანხმებულ ხელის შემწლეულ პირობებს, მხოლოდ აღრე გამოჩეკილ ჭაბუკების გადამეტებულ ქებას გაუვითარებელი და მცირე მოთხოვნილებების მქონე გარშემო მყოფი ბრბოს მიერ, შეუძლიათ დახშონ ნიჭიერ ადამიანებში ეს თანდაყოლილი ლტოლვა თვით გავითარებისკენ. აი, რატომაა, რომ ჩემი ნიჭიერი ოპონენტი, რომელიც, ერთის მხრით, თვითონ შეიქნა „ხელის შემწლეულ პირობების“ სხვერპლი, ცუდ სამსახურს უწევს თავის სამშობლოს იმიტაც, რომ ასეთ გამხრწნელ გზად ბნეულობას ექომაგება ასე აშკარათ.

ბ. ნიკოლაძე.

### ქართული პრესა.

ერთი ცოცხალი და საიმედო სალიტერატურო ორგანო კიდევ შეეძინა ჩვენს ნორჩს და ლარიბს მწერლობას ამ დღეებში. 4 მაისს, ქუთაისში, სტამბიდან გამოვიდა ყოველ კვირული, საორშაბათო გაზეთი „ახალი კვალი“, რომელსაც მოუთმენლათ მოელოდა ჩვენი მოზარდი მოსწავლე ახალგაზობა და ინტე-

ლიგენციაც. გაზეთი დიდათ საინტერესოა, მომენტის შესაფერო წერილებით არის სავსე. შიგ არის მოთავსებული გამამხნეველები ლექსი ჩახარუხაძისა და ჩენი ახალ-გაზღა, ნიჭიერი მგოსნის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსიც „ა გ ა კ ი ს ლ ა ნ დ ი“ აშვენებს ახალი გაზეთის ფურცლებს...

ალტაცებაში მოგვიყვანა მდიდარი შინა-არსით სავსე სტატიამ ბ-ნ ან-ისა, რომელიც ჯერ დასრულებულიც არ აქვს ავტორს. სტატიის სათაურია: რა არის სამშობლო? და, როგორც წერილის აზრთა მიმდინარობა ამტკიცებს, იგი სრულს ქვეშაობას აღიარებს ამ ცნების შესახებ, ჩენი თანამედროვე პროლეტარიატის თვალსაზრისით...

გზა და გზა ავტორი ეხება ვაზ. „აზრის“ პუბლიცისტის ბ-ნ ს. დ-ნის წერილებს ამავე საგანზე და აშკარათ შუქს ფენს მის 80-იან წლების ნიჰილისტურ, პირ და პირ ანარქისტულ იდეოლოგიასაც...

ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საგანზე ჩვენ გვექნება სტატია, როცა აღნიშნული წერილები ნიჭიერი პუბლიცისტისა დასრულდება და ხელთ გვექნება მთელი იმისი. არგუმენტაცია.

## ახლო აღმოსავლეთი.

(გაგრძელება\*)

1878 წელს, მოხდა ბერლინის კონგრესი, სადაც, წარმოიდგინეთ, სრულიათ სომხეთის ნიჭიერი კათალიკოზის ნერსეს V მოხერხებით, სომხების ორი წარმომადგენელიც დაესწრო: „არწივ ვასპურაკანის“ სახელოვანი რედაქტორი, კონსტანტინოპოლის არხიეპისკოპოზი ჰაირიკ ხრიმიანი (შემდეგ კათალიკოზი სრულიათ სომხეთისა) და სომხის ცნობილი მოღვაწე—მინას ჩერაზი. ბერლინის კონგრესის დადგენილებით რუსეთმა კონტრიბუცია დააღვა ოსმალეთს, შესარაბიისკენ საზღვრებიც გააფართოვა და აქეთ, ჩ.ენკენაც მიიკრა-ბათუმი და ყარსი. ამასთანვე ოსმალეთმა სრულიათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ იცნო რუმინია, სერბია, ჩერნოგორია და დაარსდა აგრეთვე სრულიათ ახალი ბულღარეთის სამთავროც. ვინაიდან ოსმალეთის ვრცელს ტერიტორიაზე კიდევ რჩებოდნენ ქრისტიანები, როგორც მაგალითად, ბულღარები აღმოსავლეთ რუმელია-

ში, ბულღარები, მაკედონელები, ბერძნები და სხ. მაკედონიაში და სომხებიც, ამიტომ, ოსმალეთი იძულებული ყვეს ამ ქვეყნებშიაც მოეხდინა რეფორმები, რომ ქრისტიანებს მინიჭებოდათ შეღავათი უკეთესი, გაუმჯობესებული ცხოვრებისთვის.

სომხების დელეგატებიც სწორეთ ამისთვის გაჩნდნ ბერლინის კონგრესზე. იმათ და ვანსაკუთრებით-კი ჰაირიკ ხრიმიანმა აღძრა აქ, ასე წოდებული, სომხეთის სჯიფთხი და ევროპის პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა წარმომადგენლების თვალის წინ მან გაშალა სურათი სომხების ტანჯვა-ვაებისა. მან დიპლომატებს დიდი ყურათღება მიაქცევია ოსმალეთის სომხების გაქვირებულ მდგომარეობაზე. მისმა მღელვარე, დიდი ენტუზიაზმით, ნიჭიერათ თქმულმა სიტყვამ სამართებელსავეთ გასკრა და იმ წამსვე შეთხზულ იქნა 61 მუხლი ბერლინის ტრაქტატისა, რომელშიაც ოსმალეთის ხვანქარს ვალათ დასდევს, რომ სომხებს მუარველობა გაუწიოს ამიერიდან და კანონდებულობით გააუმჯობესოს გაქვირებული სომხის ხალხის მდგომარეობა. მთელ დედა-მიწის ზურგზე, ყოველ ქვეყნის კუთხეში გაფანტულ სომხთა გულში უდიადესი აფროთოვანება დაბადა ამ დიდმა ისტორიულმა ამბავმა და ამიერიდან დაიწყო დიდი საიმედო და ენერგიული მზადება სომხეთის ერის კვლავ აღორძინებისთვის...

რუსეთს რომ მტრებმა მიწა-წყალი წაართვეს ყირიმის ომში, აი, სწორეთ ამ მიწა-წყლის უკანვე დასაბრუნებლათ დაიწყო ეს უკანასკნელი ომიც მან ოსმალეთთან და უნდა გამარჯვებოდაც აღედგინა მას მაშინდელი გეტეხილი სახელი. მარა ბაიკანეთის სლავიანთა შეზრალემა მაინც მოიმიწესეს, და მართლაც, რაკი ამ ომს მოყვა პოლიტიკური გათავისუფლება სერბიისა, ჩერნოგორიის და ბულღარეთისა; რუსეთიც, რა თქმა უნდა, ამ ქრისტიანების გამათავისუფლებლათ და მფარველათაც ჩარიცხულ იქნა საქვეყნათ. „НѢТЪ ХУДЪ НАСЪ ДУША“ ო, იტყვიან რუსები და, მართლაც, ეს ომი რომ არ მომზადარიყო და რუსეთსაც თავი არ გამოეღო სლავიანებისთვის, სერბიაც, ჩორნოგორიაც და ბულღარეთიც ახლაც არ იქნებოდნენ პოლიტიკურათ გათავისუფლებული. მთელი მქცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არცერთი პოლიტიკურათ დამონებული ერი მარტო საკუთარი ძალ-ღონით არ გათავისუფლებულა მტარვალისგან. მარტო

\* იხ. „განთიად“ № 7.



გარბალდი და მისი მამაცი გარბალდიელე-  
ბი ვერ გაათავისუფლებდნენ იტალიას ავსტრი-  
ელებისგან, რო საფრანგეთი არ მიშველებო-  
და, არ დახმარებოდა იტალიას. აგრეთვე ვერც  
საბერძნეთი გაათავისუფლებოდა პოლიტიკურათ  
ოსმალებისგან, თუ რომ ევროპის კაცობრიო-  
ბა და რუსეთი არ ჩაბრუნდებოდნენ საქმეში. ბა-  
ლკანეთის სლავიანების გაათავისუფლებაც ყო-  
ვლათ შეუძლებელი და მოუხერხებელი იქნებო-  
და, რო რუსეთი არ გამოსარჩილებოდა იმით.  
ამიტომაც, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე  
II სლავიანებმა უწოდეს მეფე — გამათავისუფლე  
ბელი, რუსეთის ნალხს-კი — უფროსი მხსნელი  
მმა.

დაწყველილ „აღმოსავლეთის საკითხს“  
ამით დასასრული მიიღო არ მისცემია. ის-კი  
არა, ამას შემდეგ, საქმე უფრო გართულდა  
კიდევ. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე  
კიდევ ბევრი ქრისტიანები დარჩნენ, რასაკვირ-  
ველია, რომელთა დიდ მოსარჩელეთ და წმინდა.  
დამცველადაც შეიძლებადა ყოველთვის თავი  
თვისი გამოცხადებინათ და ომიც... მზად იქნე-  
ბოდა. ასეთ საფათერაკო პოლიტიკის არსე-  
ბობას კარგათ გრძნობდნენ ოსმალეთში მცხოვრე-  
ბი ქრისტიანები და, ამიტომაც, ამ უკანასკნელი  
რუსოსმალეთის ომის შემდეგ, ძალიან გაძლიერდა  
მუსულმანთა და ქრისტიანთა შორის დიდი სი-  
ძულვილი და მტრობა. აი, სწორეთ ეს ქრის-  
ტიანები შეიქნენ მიზეზი იმისა, რომ უბედურს  
ოსმალებს მოსვენებას არ აძლავდნენ და დაუ-  
სრულებელ ომებს უტეხდნენ. ამიტომ ოსმალე-  
ბი ამ საშინელ ომებისა და დიდი სისხლის-  
ღერის მიზეზათ სამართლიანათ ქრისტიანებს  
თვლიდნენ და იმათ სულ ერთიანათ მუსრს  
ავლებდნენ და უმოწყალოთ ელევტდნენ კიდევ...

ამ დროს ევროპაში მოხდა ფრიად დიდ  
მნიშვნელოვანი ამბავი, რომელზედაც ქართვე-  
ლი მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო  
აქ.

1879 წელს გერმანიის იმპერია შეუკავ-  
შირდა ავსტრი-უნგარეთს. ამ ორთა კავშირს  
მალე მიემხრო მესამე პირველ ხარისხო-  
ვანი სახელმწიფო — იტალიაც და, ამ ნაირათ,

ევროპის კონტინენტზე ჩვენი თვალის წინ  
დაარსდა ჯედიერესი, ასე წოდებულთ, „სამთა  
კავშირი“. ამ ძლიერის კავშირის შეკერით  
საფრანგეთზე გამარჯვებულმა გერმანიამ სრუ-  
ლიათ შეუძლებელ ყო საფრანგეთისთვის წარ-  
თმეული მდიდარი პრაინციების — ელზას-ლორენ-  
ნის კვლავ დაბრუნება. ავსტრი-უნგარეთის  
იმპერიის მთავრობას-კი ფიქრათ ქონდა ერ-  
თხელ და სამუდამოთაც მიეკრა ბოსნია-ჰერცე-  
გოვინას ტერიტორია და ეს გარემოება ხომ  
დიდს კონფლიქტს გამოიწვევდა სერბიის მხრით,  
რომელსაც ზურგს უმაგრებდა და მუდამ, ყო-  
ველთვის „მფარველობდა“ რუსეთი. ამ დიდათ  
მწარე გარემოებამ საშინლათ და ღრმათ ჩა-  
ფიქრა 1870 წელს დამარცხებული საფრან-  
გეთი და იგი პირ და პირ რუსეთს... დაუკავ-  
შირდა და თვისი საგარეო პოლიტიკის ღერძი  
თლათ რუსეთს ჩაუგდო ხელში. ამნაირათ,  
დაარსდა „ორთა კავშირი“, რომელიც ემუქრე-  
ბოდა კაცობრიობის მშვიდობიან, მოქალაქე-  
ბრივ ცხოვრებას და პირ და პირ მიმართულიყო  
გერმანიისა და ავსტრი-უნგარეთის წინააღმდეგ.  
რუსეთმა ძალიან კარგადაც ისარგებლა საფრან-  
გეთთან პოლიტიკური კავშირის დაჭერით და,  
როგორც ეს უარესი წერდა თავის ვაზეთში,  
რამდენიმე მილიარდი მანათი სულ ადვილათ  
სესხათ იშოვა იქ და თვისი საკუთარი საქმეები  
გამოაწყო და გამოჩარხა...

გულკეთილი.  
(შემდეგი იქნება).

## მ წ ი რ ი.

(დასსრული).

დახეთ! დარბაზში, სასამართლოში,  
ჩუმათ შემოქცნა ქმნილება ერთი,  
ემიკის მსგავსი, გონჯი ტუტუცი,  
ქმის მოღალატე, ტყუილის გულა,  
ადამიანთა ცოდვის ამღები,  
არ დამნაშავეს დამნაშავეთა  
ვეცხლისა მონა, როგორც იულა,  
სკამზე დაჯენა, ვასამართლება!..

ბნელ ხეივანში ცხოვრობს ჭაბუკი,  
ღვენილი მწირი, მთხრობი ზღაპრების,

ყოველ დროულის ჩქარ მიმოფრენას  
 იჭერს საზღვარზე გარდმოცემების!..  
 ჩონგურს აქლერებს,  
 წყნარათ ამღერებს,  
 თან ვეცხლის თასმას აპკურებს ცრემლებს,  
 და უცხო მგზავრებს,  
 იმ გზათა გამრებს,  
 აწვდის დროულის გარდმონაცემებს!..

\* \*

აჰა!.. გაიღო ბძანების ძალით  
 განცხრომის ძისა კოშკის კარები,  
 ღღეს განცხრომის ძე ღღესასწაულობს...  
 მონებს უბძანა რეკონ ზარები.  
 მის სასახლისკენ ერთის მიყოლით  
 მსწრაფლ მიმოქრიან მწყობრათ ეტლები,  
 მდიდრულ დარბაზში მუსიკა უკრავს,  
 მხიარულობენ ჩარჩის შვილები.  
 ქალი და კაცი, დიდი, პატარა,  
 მონა, მორჩილი განცხრომაშია,  
 ძვირფას სასმელებს სვამენ, აქცევენ,  
 სიცილ-ხარხარა და თამაშია.  
 კოშკის პირდაპირ ნესტიან ქოხში  
 უსულ-გულოთა ავათყოფი წვეს  
 და მომაკვდავის პატარა შვილი  
 საქვარელ დღდას წამალსა ასმევს.  
 შიმშილისაგან დასუსტებული,  
 დედა შვილსა თხოვს პურის ნაჭერსა,  
 მხოლოთ შვილი-კი, არას არ მქონე,  
 თვალ-ცრემლიანი შესცქერის ჭერსა.  
 ამ დროს მუსიკა მდიდრის დარბაზში  
 მძლავრათ, მენივით დაიგრიანობს  
 და ტანჯვის შვილი, შეშინებული,  
 სუსტათ მკრთალ თვალებს დაატრიალებს...  
 — „შენიდე, შვილო!.. ვგონებ, ბატონი  
 ღღესასწაულობს, — ქეიფობაა!..“  
 — „განა არ იცი, დედიკო ჩემო,  
 მდიდარ ხალხისთვის სულ დღეობაა!..“

ხეივანის მახლობლად გზათ გარეშული  
 ვეცხლის თასმაზე ნაწერს შენიშნავს  
 და, ქარავმთ შორის, მგზავრისა თვალი  
 სიტყვებს გულის მწვევლს ზედ წაიკითხავს!..

\* \*

დადგა მაისი!.. ვარსკვლავნი ცაზე  
 ცელქურათ კორთიან და ციმკიებენ.  
 მერცხლების წყნარი ჭიკჭიკი მეფობს,  
 ცაში ფრინავენ, ჭრიამულებენ.  
 მტკიცე სიტყვები წრფელ სიყვარულის

მაისის ღამეს ყველგან გაისმის...  
 და ბალის სკამზე, ბნელ ხეივანში,  
 შეყვარებულთა ჩურჩული ისმის...  
 მთვარე თვის შუქსა სამყაროსა ფენს,  
 დემონს, მის შემსცქერს, თვალი ევსება,  
 სატრფო მის მიჯნურს მხურვალეთ კოცნით  
 გულს ეკონება, ეალერება.  
 მაისის ღამის ჩუმ — მყუდროება  
 ბედნიერების ხმებით სავსეა:  
 აქ სიყვარულის ფიცი ყურს ვესმის,  
 იქ-კი, — ბულბულის ჰანგი — ჰანგზეა!..

იმ ვეცხლის თასმის ელვარე სხივი,  
 მთვარეს ნათელ შუქს ეთამაშება,  
 მწვარი-კი ჩონგურს უკრავს, ამღერებს,  
 ცრემლი მდლდარე თვალს არ აშრება!..  
 სიმღერა მისი არღვევს ბნელ წყვდიადს  
 და გულის ცემით ელის განთიადს!..

\* \*

ბნელ ხეივანში ცხოვრობს ქაბუკი,  
 დევნილი მწირი, მთხრობი ზღაპრების,  
 ყოველ დროულის ჩქარ მიმოფრენას  
 იჭერს საზღვარზე გადმოცემების!..  
 ჩონგურს აქლერებს,  
 წყნარათ ამღერებს,  
 თან ვეცხლის თასმას აპკურებს ცრემლებს,  
 და უცხო მგზავრებს,  
 იმ გზათა გამრებს,  
 აწვდის დროულის გარდმონაცემებს!..

დ. საქარეჯი.



რედაქტორ-გამომცემელი ს. მჭედლიძე.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკები:

1. პეტრე მასლოვის სოფლიო ომის ეკონომიური მიზნები, თარგმანი და გამოცემა დ. დადუნელისა, ფ. 25 კაპ.
2. კარტოფილი, ვ. ნახუტრიშვილი-სა, ქ. ს. სამეურნო საზ., ფ. ერთი შაურკი.
3. Цѣлебные минеральные источники въ Кутаисск. губерніи, К. Мачавариани, ფ. 20 კაპ.

---

ყოველდღიური საწარმოო და სალიტერატურო გაზეთი

 „სახალხო ფურცელი“ 

(სურათებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. № 190.

---

თფილისის წიგნის მალაზიზაჟი იჟიღეზა

გ. თუმანიშვილის წიგნები:

**Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.**

ფ. 60 კაპ.

---

**Характеристика и воспоминанія,**

(ქართული და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.— ქართული თე-  
ატრი. — რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შეცვებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

---

**ПЕРВЫЙ КАМЕНЬ**

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.